№ 20 — 1877—1905 — № 20

სამშაბათი, 8 მარტი

**გაზეთის ფასი** დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთ თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія"

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათი, 8 მარტი

განცხადების ფასი: ... სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 ... წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ტელეფონი № 922

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

**პრემიად 12 წიგნს**

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი**: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან. რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**მ. ჟ. ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აჯეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაგანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

**პ. ა. არდაზიანი**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში დირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

აცხადებს, რომ მას სჭირია ჭიათურის საავადმყოფოში იყოლიოს **ბებია ქალი, მცოდნე ქართულის ენისა.** მსურველთ ამ ადგილის დაჭერისა საბჭო სთხოვს მომართონ ქუთაისს, საბჭოს სახელზე.

3—6—3

ტფილისის ექიმები.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5-დან საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

**კბილის ექიმი ნ. ტუღუშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

**ვაჩნაძე სფირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ბესარიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის—8—9 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

**ა. ი. გალარჯიშვილი.**—ბავშვებისა 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

**ვ. დ. ლამბაშიძე.**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**კ. ნ. დიასამიძე.** — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

**ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.**—ხირურგია 1—2.

საღამოს:

**ს. ი. ვაჩნაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

## გონიერება!

ამ უკანასკნელ დროს მთელს რუსეთში და კერძოდ ჩვენშიაც ცხოვრებამ ისეთი მღელვარე მიმდინარეობა მიიღო, რომ წინად მისი მზგავსი რამ ბევრს, იქნება, ოცნებითაც კი ვერ წარმოედგინა. რაც წინად წარმოუდგენელი იყო, დღეს ცხოვრების ფაქტი გახდა და ცხადი სინამდვილე შეიქმნა...

ერთ ასეთ ბევრისთვის მოულოდნელ ამბავს შეადგენს დღეს ქართლის გლეხებში დაწყებული აგრარული მოძრაობა. თითქმის გორის მაზრის მთელი თავად-აზნაურობა ქალაქშია ჩამოსული და დღედა ღამ იმაზე-ღა ფიქრობს, თუ როგორ დაამშვიდოს გლეხობა და რანაირად მოაწყოს მშრომელ ხალხთან თავისი დამოკიდებულება.

რასაკვირველია, ბევრი თავადი და აზნაური საქმის ვითარებას აზვიადებს, სისხლსა და ცეცხლის წაკიდებას მოელის იქ, სადაც ეს, იქნება, სრულიადაც მოსალოდნელი არაა. ყოველთვის, როცა რაიმე არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდება ხოლმე, ადამიანს ნერვები დაეჭიმება, მგრძნობიარობა უცხოველდება და საგანს ისე სადის თვალით ვეღარ უცქერის, როგორც უფრო დამშვიდებული და დაწყნარებული დაინახავდა. ამ შემთხვევაშიაც ბევრი მემამულე, რომელიც მუდამ გლეხის უენობასა და მორჩილებას იყო ჩვეული, საქმეს შეუფერებლად აძნელებს და შავის ფერადებით ასურათებს.

გადაიკითხეთ თავად-აზნაურთა გუშინწინდელ კერძო კრების ანგარიში და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ჩვენს აზრს არა ერთი და ორი იმ კრებაზე წარმოთქმული სიტყვა ამტკიცებს და ამართლებს.

მაგრამ ჩვენ გვინდა დღეს მხოლოდ ერთი ბრძნული აზრი აღვნიშნოთ, რომელიც ამ კრებაზე ერთ «განმსწავლულ» თავადს გამოუთქვამს და შემდეგ სხვებსაც გაუმეორებიათ. არ გეუცხოვოთ,—ეს „აზრი" მართლა საყურადღებო და საინტერესოა. გლეხები ღელავენ და ამოწყვეტას გვიპირობენო,—ამბობენ მემამულეები. თურმე, ნუ იტყვით, გლეხთა სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების ანორმალური პირობები კი არ ყოფილა ამის მიზეზი, არამედ ერთად-ერთი პრესსა და ჟურნალისტი. თურმე ჩვენი პრესსა ჰქადაგებს: ერთმანეთი დახოცეთ, გადასწვით, გაანადგურეთო; თურმე პრესსა ეუბნება გლეხებს, მემამულეს სახლში შეუვარდით და საჩრდილო საბადებელი წაართვითო; თურმე პრესსა ჰქადაგებს სისხლის ღვრასა და ძალმომრეობას, ხელს უწყობს ხალხის გაველურებასა და გაყაჩაღებას. და იცით, ვინ არის ეს ვაჟბატონი, რომელიც ქართულ პრესსას ასეთ უმზგავსო ბრალდებას უთხზავს და საზიზღარ ცილისწამებას სდებს? კაცი, რომელსაც ქართულ პრესსას ისე კითხულობს და იცნობს, როგორც ჩვენ ჩინეთის მწერლობას. კლასთა ბრძოლის პრინციპის აღიარება ამ თანამედროვე „განათლებულ" მემამულეს ყაჩაღობისა და მკვლელობის ქადაგება ჰგონია...

იმავე პირმა ისეთი სიმჩატე და თავდაუჭერლობა გამოიჩინა, რომ პირადობის შეხებასაც არ დაერიდა და მრავალრიცხოვან კრებაზე საჯაროდ გამოაცხადა: დღეს გაზეთს ისეთი კაციც კი უდგას სათავეში, რომელიც, როგორც მე დანამდვილებით ვიცი, სოფელ-სოფელ დადიოდა და თავადების წინააღმდეგ გლეხებს „აბუნტებას" უქადაგებდაო. ჩვენ, იმედია, მალე გავიგებთ იმ „ნამდვილ" წყაროებსა და „საბუთებს", საიდანაც ეს ქართლელი მემამულე საპოლიციო ცნობებს ჰკრებს, და ჩვენს მკითხველებსაც მის ზნეობრივ აღლადიდებას მაშინ გავაგებინებთ.

აქ კი გვინდა ისევ მთავარ საგანს დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ ქართლში წარმომდგარი მოძრაობა გლეხებისა ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენა არის. ეს გამოურკვეველი დასაწყისია იმგვარ მოძრაობისა, როგორიც დღეს გურიასა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს მრავალს ადგილებშია.

საქართველოს არც ერთ კუთხეში გლეხობა ისე დაბეჩავებული არაა, როგორც ქართლში. ბატონ-ყმობა, შეიძლება ვთქვათ, აქ ჯერ კიდევ არ გადავარდნილა და ხალხი იურიდიულადაც კი გაუნთავისუფლებელია ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან. ეკონომიურ ცხოვრების მოუწყობლობა ისეთის სიმძიმით აწევს კისერზე გლეხობას, რომ თავი ვერ აუწევია და თავის ცხოვრებით ვერაფერში ადამიანს ვერ დამზგავსებია. საკმარისია ნახოთ ქართლში გლეხის ოჯახი და სახლის მოწყობილობა, რომ დარწმუნდეთ, თუ როგორ დიდია იქ ხალხის სიღარიბე და უსახსრობა. რამდენიც დრო მიდის, ხალხი თანდათან მრავლდება, მიწა—ძვირდება, იჯარის ფასი მუდამ დიდდება და მიწათ-მოქმედს აუტანელ ტვირთად აწვება. ამ ნიადაგზე იწყება ყველგან აგრარული მოძრაობა და ამ ნიადაგზეა დაწყებული ქართლელ გლეხთა მღელვარებაც.

ამიტომ აქ პოლიციური ღონისძიება და ჯარის ჩაყენება მოძრაობას ვერ მოსპობს და ვერც სასურველ ნაყოფს მოიტანს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო კრებაზე მემამულეთა უმრავლესობა ჯარისა და ყაზახების მიშველების წინააღმდეგი გამხდარა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქართველ თავად-აზნაურებში არიან ბლომად ისეთი გონიერი პირები, რომელთაც იციან, თუ რა საშინელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს თვითონ მემამულეებისათვის სოფელში ჯარის გაგზავნას და ყაზახებისაგან ხალხის აკლებას. ეს ისეთ მტრობას აღძრავს ხალხში თავად-აზნაურობის მიმართ, რომ შემდეგში მისი მოსპობა შეუძლებელი გახდება.

ამ საქმეში თავად-აზნაურობას, ვითარცა უფრო განათლებულ და ცნობიერების მქონე წოდებას, მართებს და მოეთხოვება კიდეც გამჭრიახობა და გონიერება. მან უნდა დაინახოს და სცნას, რომ გლეხების მდგომარეობა მეტად შევიწროვებულია და ამიტომ ეხლა მაინც უნდა შეეცადოს დათმობას და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. დათმობა და ეკონომიურ ურთიერთობის გლეხთა სასარგებლოდ მოწესრიგება—აი, ეს არის ერთად-ერთი სახსარი, რომელსაც შეუძლია ეხლანდელ პირობებში გლეხების დაშოშმინება და სოფლად, რამოდენიმედ მაინც, მყუდრო ცხოვრების ჩამოგდება.

ერთის სიტყვით, საჭიროა შეთანხმება და არა ჯარი და არტილერია. ეს, როგორც ვთქვით, მემამულეებსაც შეგნებული აქვთ და ამიტომ სხვა არა დარჩენილა-რა, რომ ეხლავე საქმეს შეუდგნენ და გლეხებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება დაიწყონ.

კერძო კრებაზე აზრად ჰქონიათ კომისიის არჩევა გლეხებთან მოლაპარაკების გასამართავად. ჩვენ, რასაკვირველია, ვერაფერს ვიტყვით იმ პირებზე, რომელნიც არჩეულნი იქმნებიან ამ კომისიაში. თვითონ თავად-აზნაურობამ უკედ უნდა იცოდეს, არიან თუ არა, ან ვინ არიან მის წრეში ისეთი კაცები, რომელთაც ხალხი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობა. აქ საჭიროა, რომ კომისიის წევრებს შეეძლოთ გლეხებზე ზნეობრივი გავლენა იქონიონ და მათ გულში ეჭვი და უნდობლობა არ გაუღვიძონ. ხოლო ნდობას გამართლებაც უნდა და ამიტომ ყველაფერი, რაზედაც მემამულენი გლეხებთან შეთანხმდებიან, უეჭველად კიდეც უნდა შესრულდეს.

თ-დი ა. დიასამიძე რჩევას იძლევა თავის წერილში, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ, რომ თავად-აზნაურობამ კომისიაში პრესსისა და საზოგადოდ ინტელიგენციის წარმომადგენელნიც აირჩიოს. ჩვენ გვგონია, რომ პრესსის წარმომადგენელნი ვერ იკისრებენ თავად-აზნაურობის სახელით გლეხებთან მოლაპარაკების გამართვას, რადგან თვით თავად-აზნაურობა უნდობლად ეპყრობა პრესსას და მის წარმომადგენლებს ყაჩაღობას სწამებს...

ყოველ შემთხვევაში, ვინც უნდა იყვნენ არჩეულ კომისიის წევრნი, ის საფუძველი და მორიგების პირობა, რომელზედაც შეთანხმდებიან ისინი მემამულეთა დავალებით გლეხებთან, აუცილებლად უნდა იყოს სავალდებულო მემამულეებისათვის. მოტყუილება და იმედების გაცრუება უარეს მღელვარებასა და მოძრაობას გამოიწვევს ხალხში...

## ქართლელ გლეხთა მოძრაობა.

აწინდელი ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა ჩვენი ხალხიც აამოძრავა და აალაპარაკა. საქართველოს ყოველ კუთხიდან მუდამ დღე მოდის ახალ-ახალი ამბები, რომელნიც ცხადად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი მრავალ-ტანჯული ერიც იღვიძებს, დღევანდელ პირობების შეცვლას თხოულობს, ვეღარ იტანს იმ მძიმე უღელს, რომელსაც აქამდის ატარებდა, და განთავისუფლებას ლამობს. თუ აქამდის ჰღელავდა მცირე ნაწილი საქართველოსი, როგორც გურიაა, დღეს ჰღელავს აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი და ქართლიც კი. ამიტომაც ეს საერთო მოძრაობა ფრიად საგულისხმიერო და დასაფიქრებელია. საჭიროა, ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, ვისაც კი გული შესტკივა თავის სამშობლოსთვის, შეძლების გვარად მონაწილეობა მიიღოს ამ მოძრაობაში, საფუძვლიანად დაუკვირდეს დღევანდელ მოთხოვნილებას, დაიცვას ხალხის უმეტესობის ინტერესი და სამართლიანად განსაჯოს.

დასაწყისიდანვე გურიის მოძრაობას ეკონომიური ხასიათი დაედო, გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის მოხდა განხეთქილება და ეს დამოკიდებულება თანდათან უფრო გამწვავდა, რადგანაც გურიის თავად-აზნაურობა, იმის მაგივრად, რომ ჩაჰკვირვებოდა გლეხთა მოძრაობას, გლეხებთან დაახლოვებულიყო,—ყურს არ ათხოვებდა მშრომელ ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას, პირიქით ადგილობრივ და საგუბერნიო პოლიციას იწვევდა დასახმარებლად. შედეგი ამ უსიამოვნო დამოკიდებულებისა ისაა, რომ დღეს მთელი გურია ჯარებით, ყაზახებით გამსებულია და «სამხედრო წესს» ექვემდებარება.

თუ ასე მოხდა გურიაში, შეიძლება უარესი მოხდეს საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. ამიტომაც საჭიროა, ჩვენის აზრით, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ გურიის თავად-აზნაურობის შეცდომა არ გაიმეოროს,—ეხლავე დაუკვირდეს მშრომელ ხალხის გაჭირვებას და თავის მდგომარეობასა, უარჰყოს თავისი ძველებური განწყობილება გლეხებთან, მოსპოს «დროებით სავალდებულო» დამოკიდებულება, დაუთმოს გლეხებს საძოვარი ადგილები, გაუადვილოს ტყით სარგებლობა, შეუმციროს ღალა და მრავალი სხვა. ერთის სიტყვით, თითოეულმა მემამულემ უნდა შეითვისოს საერთო დემოკრატიული პრინციპი და მთავრობის დაუხმარებლად თითონ პირადის მოლაპარაკებით გლეხებთან ისე მოაწესრიგოს საქმე, როგორადაც ამას შეგნებულ ხალხის უმეტესობა თხოულობს. ხოლო თუ საქმე ისე გამწვავებულია, რომ პირადის მოლაპარაკებით დამოკიდებულების მოწესრიგება არ შეუძლიანთ, უნდა ამოირჩიონ კომისია იმისთანა პირებისაგან, ვისაც ხალხის უმრავლესობა პატივსა სცემს და ენდობა. ამ ნაირ პირებად მიგვაჩნია ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები და საზოგადოდ საუკეთესო ნაწილი ინტელიგენციისა, რომელიც გამსჭვალულია დემოკრატიულის პრინციპებით. ამათ შორის უნდა გამოინახოს პირები, რომელნიც თავის შრომამეცადინეობას არ დაზოგავენ და თავად-აზნაურობის მხრით დათმობისა, შეღავათის მიცემის ნიადაგზე მოწინააღმდეგე მხრებს მოარიგებენ და ამგვარად ხალხის აზვირთებულ მოძრაობას უფრო კულტურულსა და გონიერ მიმართულებას მისცემენ.

ალ. დიასამიძე.

## თავად-აზნაურთა კერძო თათბირი.

ქართლიდან ჩამოსულ ზოგიერთა მემამულის თხოვნით, კვირას, 6 მარტს, შესდგა თავად-აზნაურთა კერძო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანის თავმჯდომარეობით. კრებას უნდა გამოერკვია, რა ზომები მიიღოს თავად-აზნაურობამ გლეხების მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

თავმჯდომარემ კრების დაწყებისთანავე მიმართა საზოგადოებას და სთხოვა მემამულეებს, რომელნიც მოწმენი იყვნენ იმ არეულობისა, გამოეთქვათ, რაში იხატება სოფლებში გლეხთა მოძრაობა და, მათის აზრით, რა საშუალებანი უნდა მიიღონ ამ საგნის შესახებ.

ერთი მემამულეთაგანი (სამხედრო სამსახურის კაცია) უამბობს საზოგადოებას, თუ გლეხებმა როგორ მოაწერინეს ხელი რაღაც ქაღალდზე, რომელშიაც ეწერა, რომ ადგილ-მამული გლეხებს უნდა მიეცესო. რა მეტი ჯანი მქონდა,—ამბობს ის,—ხელი მოვაწერეო, მაგრამ ამით გლეხები არ დაკმაყოფილდნენ, 2 მარტს სამასამდის გლეხმა თავი მოიყარა ჩემს სახლთან. მთელი დღე და ღამე თოფებით ვიცავდით თავს, რომ ახლო არავინ მოსულიყო, მეორე დღეს მივანებეთ თავი სახლ-კარს და ქალაქისკენ გამოვიქეცით. ბიჭები გამიფანტეს და სახლი სრულიად უპატრონოდ არის დარჩენილიო. გლეხები ამბობენ, ამდენი საუკუნეები გემსახურეთ, თქვენი მონა ვიყავით, გეყოფათ, ამაზე მეტი აღარ შეგვიძლიან, ეხლა მამული ჩვენ უნდა მოგვეცეს, ჩვენ უნდა დავიმუშაოთ და ჩვენვე უნდა ვჭამოთ. ამას გლეხკაცი თავისით არ ამბობს—სხვები ასწავლიან. ჩვენ გვეუბნებიან: მოურიგდით, დაუთმეთ რამეო. როგორ უნდა მოვურიგდეთ? ცოტას რომ მისცემ, ის ბევრს მოითხოვს. „ბატონებო,—სთქვა მან ბოლოს პატეტიურად,—გლეხ-კაცები ჩვენზე ძალას ხმარობენ, ჩვენც ძალით უნდა შევეგებნეთ. ისინი ამბობენ, ჩვენ არავითარი ძალისა არ გვეშინიან, ძალა ვერ გაგვაჩერებსო, მაგრამ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან ჩავაქროთ ეს მოძრაობა; ჩვენ უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები, მთავრობას უნდა ვსთხოვოთ, რომ ჯარი მოგვეცეს ამ სტიქიურ ძალის მოსასპობლად".

—„ცეცხლს უკიდებენ ჩვენს სახლებს,—ამბობს მეორე მემამულე,—ღალა უნდა შევუმციროთო. რანაირად უნდა შევუმციროთ ღალა. მე ვიღებ ეხლა დღიურზე სამ კოდს და მშიერი ვარ, ერთი კოდი რომ გამოვართვა, ხომ მშიერი მოვკვდი. მეც ვუერთდები ეხლა წარმოთქმულ აზრს".

კრება ერთხმად წინააღმდეგია ამ წინადადებისა. „ჯარი რომ შეუსიოთ სოფლებს,— ამბობს ერთი,—და შევხედო, რომ სტრაჟნიკი ანუ ჯარის-კაცი სცემს ან კლავს ჩემს მეზობელ გლეხს, მე პირველი წინ გადაველობები და ტყვიას გულს მივუშვერ. აქ თავად-აზნაურობა არაფერ შუაშია. გლეხ-კაცს შიან, ბევრი ითმინა და ეხლა ხმა ამოიღო, ჩვენი მოვალეობაა ამ ხმას ბანი მივცეთ, გზა ვუჩვენოთ და სათავეში ჩვენვე დავუდგეთ". ამ წინადადებას საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება. (ისმის ხმები: მართალია... შეუძლებელია, მთავრობას დახმარება ვსთხოვოთ... სხვა ნაირად უნდა მოვაწყოთ საქმე... ჯარი როგორ შეიძლება...).

**თავ. დ. ჩოლოყაშვილი** ამტკიცებს, რომ გლეხ-კაცის უბედურ მდგომარეობაში თავად-აზნაურობას ბრალი არა აქვს, რომ გლეხ-კაცსა და თავადს იქნება ბევრჯელ უკმაყოფილება მოსვლიათ, მაგრამ ყოველთვის ძმები ყოფილან, რადგან ერთ ტაფაში და ერთ ცეცხლზე იწვიან. თავადის წინააღმდეგ გლეხ-კაცს არ შეუძლიან წასვლა, რადგან თავადი მისი უფროსი ძმაა და იმის კეთილ-დღეობაზე მუდამ ჰფიქრობსო. გლეხკაცს ეს მუწუკი დიდი ხანია სტკივა, მუწუკი დამწიფდა, გასკდა და გამწარებული გლეხი ეცა თავადს, რადგან ნამდვილი მიზეზი არ იცის, რომ იმას მივარდეს, ხელი დაადოს და ყელში წაუჭიროს ვინც ნამდვილი დამნაშავეა. ხალხში ცრუ სწავლა გავრცელდა, შეიძლება ძმამ ძმაზე ხანჯალით მიიწიოს, ძმათა შორის ომი გაჩნდეს, ჩვენ ამ ომს ომი უნდა გამოვუცხადოთ ამიტომ მე ვფიქრობ, საჭიროა ვთხოვოთ. ჩვენს გუბერნიის წინამძღოლს მაზრის წინამძღოლებთან ერთად დაიაროს სოფლები და ჩააგონოს ხალხს, რომ თავად-აზნაურობა აქ არაფერ შუაშია, რომ მისის სიღატაკისა და შიმშილის მიზეზი სულ სხვა არის, დღევანდელი ჩვენი აუტანელი ცხოვრებაა. აი, ამ გარემოებაზე მიუთითოს.

**თავ. ი. გ. ჭავჭავაძეც** ამტკიცებს, რომ მიზეზი გლეხ-კაცთა მოძრაობისა სულ სხვა გარემოებაში უნდა ვეძიოთო, და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმ უსამართლობისა, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა. „სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლაო. ქართველ გლეხისათვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის, რუსისთვის და სომხისთვის ბევრია. ბარიათინსკის დროს ჩვენ გვითხრეს, გლეხები გაანთავისუფლეთ, ადგილ-მამული მიეცით და ჩვენ ორი მილიონი დესეტინა გვაქვს და იმას მოგცემთო. ჩვენ მაშინ ჭკუა არა გვქონდა და ამაზედ არ დავთანხმდით. ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა და ეხლა უნდა გავასწოროთ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთავრობისაგან, ეს ადგილები. ჩვენ ვაცით, რომ გლეხ-კაცი ვერსად ვერ წავა, როგორც რუსი და სხვა ტომის ხალხი სჩადის. ის მიჯაჭვულია იმ მიწაზე, რომელიც მისი სისხლით არის მორწყული და ეს სისხლით მორწყული ადგილები ქართველ გლეხს უნდა მიეცეს და არა გადმოსახლებულებსაო. ჩვენს გლეხს ადგილი არა აქვს, რომ თონე ჩაადგოს, იმისს გვერდით კი გაშენდა გოლიცინი, სვეჩინი, ვარანცოვი და სხვა მრავალი სოფელი. სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავის ზღვის ნაპირებზე, სადაც სხვა ტომის ხალხს ასახლებენ. თუ ვინიცობაა ჩვენი გლეხ-კაცი იქ არ წავა, მოგვცენ ჩვენ, თავად-აზნაურობას, ეს ადგილები და აქ რაც რამა გვაქვს, გლეხკაცს მივცემთ ჩვენ კი იქ წავალთო. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს, უნდა ავუხსნათ მთავრობას, რომ, თუ არ ამ გზით, გლეხკაცის მოძრობას ვერც ძალა, ვერც მემამულეების მხრივ ყოველნაირი დათმობა, ვერაფერი ვერ შეაჩერებსო.—„ბატონებო,—სთქვა ბოლოს თავ. ი. ჭავჭავაძემ,—ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუ-

ნებრივი რამე, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს".

**თავ. ა. ჩოლაყაშვილის** აზრით, საჭიროა ეხლავე შესდგეს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება ამ საკითხების გამოსარკვევად.

**ბ-ნი ივ. ჯაბადარი** ამბობს, რომ საჭიროა ეთხოვოს მთავრობას კრებების ნება-რთვა, სადაც შეეძლოს თავის მოყრა ყველა წოდების წარმომადგენელს და იქონიოს ამ საჭირ-ბოროტო საქმეებზე სჯა-ბაასი.

**თავ. ა. დიასამიძე** იმ აზრისაა, რომ ეხლავე შესდგეს კომისია, რომელიც შუამდგომლობას გასწევს და თავადსა და გლეხს მოარიგებს.

**თავ. გ. დიასამიძე** თხოულობს, რომ ამ კომისიაში არჩეულ იქმნენ პრესსის წარმომადგენელნიც.

პრესსის ხსენებამ დიდი კამათი და არეულობა გამოიწვია საზოგადოებაში. იმ აზრისანი არიან, რომ პრესსამ და მხოლოდ პრესსამ გაამწვავა ეს საკითხი და ძმა ძმას მიუსია. ამის მაგალითად მოჰყავთ „ივერიაში" დაბეჭდილი ფელეტონი, რომელშიაც თავად აზნაურობას „самозванцы" დაარქვესო. „პრესსას უნდა, რომ ჩვენ ერთმანეთი ამოვხოცოთო" — გაიძახის ერთი ახალგაზრდა თავადი, რომელსაც ევროპაში მიუღია „განათლება", მან განაცხადა, პრესსაა ყველაფრის ამრევიო, დღეს ერთ ქართულ გაზეთს მეთაურობს ისეთი კაცი, რომელიც ამ ორისწლის წინად, სტატისტიკოსის სახელითა და საფარველით, ქართლში დადიოდა და გლეხებს „ბუნტსა" და კერძო საკუთრების უარის ყოფას უქადაგებდა.. საჭიროა ასეთ პირების სია შევადგინოთ და, სადაც ჯერ არს, წარვადგინოთო...

დასასრულ საზოგადოება იმ აზრს დაადგა, რომ ჯერ-ჯერობით საჭიროა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს სოფლებში რამდენიმე არჩეული პირი ხალხთან მოსალაპარაკებლად. კომისიის არჩევამ დიდი კამათი გამოიწვია. კამათი ღამის 1 საათამდე გაგრძელდა. ზოგმა დაასახელა თ. ი. ჭავჭავაძე. მაგრამ ბევრი წინააღმდეგია ამისი. „არ უნდა გაიგზავნოს არც მამულის პატრონი, არც თავადიშვილი, არც პრესის წარმომადგენელიო, "მთავრობას ვსთხოვოთ, როგორც ბ-ნი კრიმ-გირეი გაჰგზავნეს, ისე გაჰგზავნონ ქართლშიაცაო",— ამბობს ერთი— ბ-ნ კრიმ-გირეისთანა აღარავინ არისო", —გაიძახის მეორე. „მაშ ვინ გავგზავნოთ?"—ჰკითხულობს გაკვირვებით თავმჯდომარე. ამაზე სჯა-ბაასი გადიდო მეორე დღისათვის და კრება დაიშალა.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგენტოს დეპეშები აღნიშნულია— პ. ს., რუსეთის სააგენტოსი რ. ს.)

6 მარტი.

**მოსკოვი**, 6 მარტი. ქალაქის სასწავლებლებში მოსწავლეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელმა საზოგადოებამ გადასწყვიტა, საურთიერთო დახმარების კასსა დაარსდეს. კონსერვატორიის დირექტორმა 150 მოწაფისაგან წერილები მიიღო, რომლითაც სთხოვენ სწავლა არ შესწყდესო. სწავლა სწარმოებს. (პ. ს.).

**ვილნა**, 6 მარტი. „სევერო-ზაპადნი სლოვოს" და „ვილენსკი ვესტნიკს" გადაწყვეტია, ჯვირა დღეობით არ ამუშაონ თანამშრომლები (პ. ს.).

**ადენი**, 6 მარტი. იტალიის წარმომადგენელი პესტალოცი, სომალილენდიდან მოსული, შეეკრა პირობით მულლას ისე, როგორც ამას თხოულობდა იტალიის მთავრობა. ამ პირობებში დაცულია ინგლისის ინტერესებიც. ორივე მხარე პირობას სდებს, რომ მშვიდობიანობას არ დაარღვევს. მულლა იცხოვრებს იმ ადგილას, რომელიც იტალიის პროტექტორატის ქვეშ არის და მდებარეობს რასგარადს და რასგაბელს შუა. მულლა ექვემდებარება იტალიის მთავრობას და ნებას აძლევს, იტალიამ ცალკე პრეზიდენტი დანიშნოს იმ ადგილებში, რომელიც ეძლევა მულლას, ნება-დართული იქმნება იარაღით ვაჭრობა, ტყვეების გაყიდვა აკრძალულია. ამ შეთანხმებამ აქ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა ჰფიქრობს, რომ ამით დასრულდება ინგლისელების ძნელი და განუწყვეტელი ომიანობა, ისპობა სომალილენდის დიდი ხნის უკიდურესი მდგომარეობა (პ. ს.).

**ტანჟერი**, 6 მარტი. იმპერატორი ვილჰელმი გიბრალტარში გამგზავრების დროს მარტის დამლევს რამოდენიმე საათს გაჩერდება ტანჟერში. (პ ს.).

**განჯა**, 6 მარტი. დღეს გუბერნატორთან მიწვეული იყო დიდძალი საზოგადოება—წარმომადგენელნი მაჰმადიანთა და სომეხთა ინტელიგენციისა. გუბერნატორმა ღუღუპუმ მადლობა გადაუხადა წარმომადგენელთ ხალხის დასამშვიდებლად შრომის გაწევისათვის. დღემდე ქალაქ განჯასა და მისს გუბერნიებში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ბაქოსა და ერევნის საშინელ ამბების მსგავსი. გუბერნატორმა იმედი გამოსთქვა, რომ ინტელიგენციის წარმომადგენელთ შემდეგშიაც ექმნებათ მდაბიო ხალხზე ასეთი ნაყოფიერი გავლენაო. თავისის მხრივ ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრებულმაც მადლობა გადაუხადა ბ-ნ გუბერნატორს საგუბერნიო და ადგილობრივი ადმინისტრაციის ტაქტიკურ ხელმძღვანელობის გაწევისა და ინტელიგენციისადმი ნდობის გამოცხადების გამო. (რ. ს.).

**ალექსანდროვსკი** (მურმანზე), 4 მარტი. „ანდრია პირველ-წოდებულის" გემით მურმანის დათვალიერების დროს, მურმანის ექსპედიციის უქიმმა აღმოაჩინა სურავანდით ავადმყოფი 21 კაცი. გამოირკვა, რომ მცხოვრებნი ძლიერ გაჭირვებულნი არიან სანოვაგის უქონლობის გამო. ექსპედიციამ დაურიგა ხალხს 650 მან. სურსათ-ხორაგეულობა. გარდა ამისა მცხოვრებთ დაურიგეს საჭირო წამლები. ხაზინამ დაარიგა ათასი ფუთი ფქვილი (რ. ს.).

**სტამბოლი**, 6 მარტი. აღმოსავლეთ მაკედონიაში სიმშილობაა. პორტამ გაჰგზავნა ათიათასი მაუზერის თოფი მცხოვრებთა შესაიარაღებლად. დიდიხანია, ბულგარია თხოულობდა, რომ უსკიუბელ ბულგარელთა ეკლესიაში ზარები ნება-დართული ყოფილიყო. ახლა ამის შესახებ გამოიცა ხონთქრის ირადე. ხონთქარმა თანხმობა განაცხადა (რ. ს.).

**მოსკოვი**, 6 მარტი. მოსკოვის პირველ-დაწყებითი სასწავლებელთა სამზრუნველო საზოგადოებასთან არსდება საამხანაგო ფონდი, თუ ვინიცობაა მასწავლებელმა ან მასწავლებელმა-ქალმა ადგილი დაჰკარგა, ამ ფონდიდან მიეცემა შემწეობა (რ. ს.).

## რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგენტოს დეპეშები აღნიშნულია— პ. ს., რუსეთის სააგენტოსი —რ. ს.)

6 მარტი.

**პარიზი**, 6 მარტი. „მატენი" არკვევს იმ პირობებს, რომელიც, გაზეთის ცნობით, იაპონიას ჰსურს მოსთხოვოს რუსეთს ზავის ჩამოსაგდებად. ეს არის მანჯურიაზე და პორტ-არტურზე ხელის აღება, იაპონიის სუვერენიტეტი კორეაში, რკინის გზის გადაცემა ხარბინამდის და კონტრიბუცია. ეს ცნობა პირდაპირ უარჰყოფს ბარონ სუემაცუს სიტყვებს ამავე საქმის შესახებ (პ. ს.)

**პარიზი**, 6 მარტი. გაზ. „ტანში" დაბეჭდილია იაპონიის ელჩის მოტონოს სიტყვები, იაპონია ჯერ-ჯერობით ზავის ჩამოგდებას სრულებითაც არ აპირებსო. ყველა ის ცნობა, რომელიც იბეჭდება ზავის პირობების შესახებ, ტყუილია.

**პარიზი**, 6 მარტი. ზოგიერთ რადიკალურ გაზეთისაგან რუსეთ-საფრანგეთის კავშირის წინააღმდეგ გამოთქმულ აზრის გამო, გაზ. „ტანი" ამბობს, რუსეთი. ომის შემდეგაც ისეთ სახელმწიფოდვე დარჩება, რომელთანაც კავშირი საფრანგეთისთვის აუცილებელიაო (პ. ს.).

**ბერლინი**, 6 მარტი. „ნორდდეიტშე ცეიტუნგი" რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომის შესახებ აღნიშნავს, რომ ორივე მეომარ ხალხთა შესახებ გერმანია მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავდა და პოლიტიკაში გრძნობას და სიმპატიებს არ მისდევს. იმათ, ვისაც უნდათ იაპონიის გადმტერება გერმანიაზე, არ იციან იაპონელების სიდინჯე. მეგობრულ დამოკიდებულების საუკეთესო საბუთი პრინც არისუგავას კრონპრინცის ქორწილში მოსვლაა. „ფრანკფურტის ცეიტუნგი" ჰფიქრობს, რომ გრაფ ბიულოვის განცხადების შემდეგ—იაპონელებს ხელს არ შეეუშლით გერმანიაში ფულის სესხების საქმეშიო,— სესხის გამოცხადება მოჰყვება. „ბერლინერ ტაგებლატს" ნიუ-იორკიდან მოუვიდა დეპეშა, ვითომც იაპონიის ელჩს ეთქვას ვაშინგტონში, იაპონიას აზრადაც არა აქვს ფილიპინის კუნძულების დასაკუთრება. იაპონიის მთავრობას არ უნდა შესწყვიტოს მეგობრული დამოკიდებულება შეერთებულ შტატებთან და აზრად აქვს ამ დიად რესპუბლიკის მაგალითს მისდიოს და შეიტანოს სწავლა-განათლება ჩინეთსა და კორეაშიო. (პ. ს.)

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

—

**ომის ამბები.** ბრძოლის ველზე ყოველ დღე შეტაკება და პატარ-პატარა ბრძოლები ხდება, მაგრამ ბრძოლის შედეგზე არაფერს იუწყებიან. რუსები სულ უკან-უკან იწევენ, იაპონელები ფეხ-და-ფეხ მოსდევენ და ხან ერთ ალაგას წამოეწევიან, ხან მეორე ალაგას; ხან ერთგან წაართმევენ დავლას, ხან მეორეგან. იაპონელებმა აქამდის აურაცხელი დავლა წაართვეს რუსებს (რ).

**რუსების ზარალი.** იაპონურისა და ინგლისურ გაზეთების გამოანგარიშებით, 10 თებერვლიდან 1 მარტამდე იაპონელებმა რუსებს მოუკლეს და დაუჭრეს 150,000-მდე კაცი (მათ შორის 4500 აფიცერი) და დაატყვევეს 50,000 კაცზე მეტი (მათ შორის 1,500 აფიცერი); სულ 200.000-მდე კაცი დააკლდა რუსეთის ჯარს და საფიქრებელია, რომ ყოველ დღე კიდევ რამდენიმე ათასი დააკლდება. ამ რიგად, მუკდენის ბრძოლა რუსებს ორას ათას კაცზე მეტი დაუჯდა (რ. ს.).

**კორესპონდენტების დეპეშები.** მუკდენთან დამარცხების შემდეგ რუსეთის ჯარი დაიძრა და ტელინისკენ წამოვიდა, მაგრამ ვაი ამ წამოსვლას. ყველაფერი დომხალივით არეულა; როტა თავის ბატალიონს ვერ პოულობდა, ბატალიონი —პოლკსა, პოლკი—დივიზიას, დივიზია—კორპუსსა და კორპუსი არმიას. ქარავანი, ზარბაზნები, ქვეითი ჯარი, ცხენოსანი, საპიორები, უმცროსი და უფროსი ისე არეულ-დარეულა, რომ წეს-რიგი ერთის კვირის შემდეგ ძლივს აღადგინეს.

„რუს. სლ."-ის კორესპონდენტი გარინი იუწყება: იაპონელებს სადგურ სანტაიძთან რუსებისთვის გზის მოჭრა უნდოდათ. კუროპატკინმა ძლივს-ძლიობით შეკრიბა ორი პოლკი და სადგური დაიცვა. იაპონელები რუსებს აღმოსავლეთიდან შრაპნელს ესროდნენ, დასავლეთიდან-შიმოზას ჟუმბარებს. თავზარდაცემული ქარავანი ქუდ-გადაგლეჯილი მირბოდა. რუსების ჯარი 20 ვერსის სიგძეზე და 8 ვერსის სიგანეზე იყო გაჭიმული. ეს ამოდენა ჯარი უცებ აირია, თავზარი დაეცა, საშინელი მტვერი ადგა, ათასი ურემი, ცხენი და კაცი ერთმანეთს მიაწყდა და ჰაერში მხოლოდ ერთი ყვირილი, წივილი და კვნესაღა ისმოდა: იაპონელები, იაპონელები მოდიანო, ყვიროდა ყველა. სადგურზე ერთი უშველებელი და გრძელი მატარებელი იდგა, მაგრამ აღარც ვაგონები სჩანდა, და აღარც ორთქლმავალი: ხალხი ისე დაესია მატარებელს, ისე გაავსო ბანი, ღერძები, ფანჯრები და პლატფორმები, რომ ფუტკარი გეგონებოდათ. მატარებელი ველარ იძროდა, ხალხი არ ჩამოდიოდა, რამდენსამე ვაგონში ჰერიც ჩამოინგრა.

მეორე კორესპონდენტი შანჰაიდან იუწყება: აქ ყველა დარწმუნებულია, რომ მუკდენის ბრძოლამ ეხლანდელი ომს ბოლო უნდა მოუღოს. აქაური გაზეთები სწერენ, რუსების ჯარს მუკდენთან თითქმის ისეთივე დღე დაადგა, როგორიც ფრანგებს სედანთან, და მუკდენის ბრძოლამ რუსეთის ბიუროკრატიას სამუდამოდ ყელი გამოსჭრაო (რ. ს.).

„რუს"-ის კორესპონდენტი იუწყება: უკან დაწევის დროს მუკდენის ჩრდილოეთით ჩვენს ჯარს დასავლეთიდან იაპონელთა ბატარეია მოეპარა და და ყუმბარა დაგვიშინა. ყველაფერი აირია, ყველას თავრეტი დაესხა, ყველა გაიქცა; ერთმანეთს ჰქელავდნენ, სჩეხავდნენ, ანგრევდნენ, აქცევდნენ და სურსათსა, ზარბაზნებსა და ქარავანს თავი მიანებესო.

„ნოვოე ვრემია"-ს ლონდონიდან ატყობინებენ: ინგლისელებსა და ამერიკელებს რუსების დამარცხება და იაპონელთა გამარჯვება ისე უხარიანთ, რომ მგონი თვითონ იაპონელებს არ უნდა უხაროდეთ ასე თავიანთი გამარჯვება. მთელი ინგლისი და შეერთებული შტატები იაპონელთა გამარჯვებას დღესასწაულობენ...

იმავე გაზეთს ტელინიდამ ატყობინებენ: რუსებს აუარებელი [illegible] ... ისტორიაში არც ერთი მაგალითი არ მოიძებნება, რომ ჯარმა განუწყვეტლივ 20 დღე იბრძოლოს და ამოდენა ზარალი ნახოს (ნ. ვ.).

**უცხოელების აზრი მუკდენის ბრძოლის შესახებ.** „ბერლინერ ტაგებლატ"-ის სამხედრო მიმომხილველი პოლკოვნიკი გედკე სწერს: ეხლა რუს პატრიოტმა რამდენიც უნდათ იმდენი იყვირონ გენ. კუროპატკინის „გენიოსურ" უკან დაწევაზე. ეს ჩვენთვის სულ ერთია. იაპონელებმა მუკდენთან სავსებით, შესანიშნავად, უმაგალითოდ და ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

„ლოკალ ანცაიგერ"-ი სწერს: ორის კვირის მედგარ და სასტიკ ბრძოლის შემდეგ მიკადოს ბედნიერი სარდალი, მარშალი ოიამა, გამარჯვებული დარჩა. ეხლა, მუკდენთან რუსეთის ჯარის განადგურების შემდეგ, ყველასთვის ცხადია, რომ რუსების საქმე წასულია. ეხლა მარშალს ოიამას ვერც ლოცვა დაამარცხებს, ვერც რუსების გამბედაობა და ვერც ერთი მილიონი ხიშტი. გულწრფელად ვურჩევთ რუსეთს,—ეხლავე, დაუყოვნებლივ შეურიგდეს იაპონიას, თორემ მომავალში უარესი დღე დაადგება.

იაპონიის ჯარის გამწვრთნელი გენერალი მეკკელი სწერს: მუკდენის ბრძოლა რუსეთ-იაპონიის ომის გათავების დასაწყისია. ასეთ საშინელ და უმაგალითო დამარცხებისა და განადგურების შემდეგ რუსეთის ჯარი ველარაფერს გააკეთებს, მაგრამ თუ მაინცა და მაინც გაჯიუტდა და ომი განაგრძო, უფრო უარესი მოუვა. სულ უბრალო და მარტივი გონიერება მოითხოვს, რომ რუსეთი იაპონიას შეურიგდეს და აღიაროს, იაპონიასთან ბრძოლა ჩემი საქმე არ არისო (რ. ს.).

«ბერ. ტაგ»-ში ვინმე ლეესონი სწერს: რუსები აქამდის იაპონელებს თითქმის ზიზღით უცქეროდნენ, მაგრამ ეხლა ძალიან ნანობენ. იაპონელი სოლდათი გაცილებით სჯობია ყველა ევროპიელ სალდათს. საკვირველიც არ არის, რომ, როცა რომელსამე გერმანელსა ან ფრანგ გენერალს, რომელმაც იაპონიის ჯარი გაწვრთნა, ტანში ჟრუანტელი გაუვლის ხოლმე, როდესაც გაიგებს, რომ ამომავალ მზის ქვეყნის შვილი, მისი შეგირდი, ასეთი ბრწყინვალე, მამაცი, ჭკვიანი და კეთილშობილი მხედარი დადგა. ევროპის დიპლომატიამ ეხლა კარგად შეიგნო, რომ იქ, აღმოსავლეთში, დაიბადა ისეთი ერი, რომელსაც ყოველთვის გაფაციცებით უნდა ადევნოს თვალყური და დღეს თუ ხვალ ანგარიში უნდა გაუწიოს. ეხლა, როგორცა სჩანს, რუსეთის მთავრობა დარწმუნდა (?), რომ ცუდი ზავი სჯობია სამარცხვინო დამარცხებას (რ. ს.).

„ნ. ფრ. პრ." სწერს: კუროპატკინის ჯარი, როგორც მებრძოლი ფაქტორი, აღარ არსებობს. თუ ამ ჯარმა მაინც მოახერხა და ტელინს მიაღწია, ველარაფერს გააკეთებს და ისევ შინ უნდა დაბრუნდეს. მერე რა იქნა, რა დაემართა იმ ამაყსა, მედიდურსა და თავმომწონე ლაშქარს, რომელსაც ნახევარი მილიონი კაცი შეადგენდა

## ფელეტონი

### გურიის ვითარება

(წერილი გურიიდან)

ესაა, დავესწარი მესამე ყრილობას. ერთი ძირითადი გარემოება სავსებით გამოირკვა. დღევანდელი წყობილების განხილვა და აწონ-დაწონვა, მასთან საზოგადო მოთხოვნანი მერმისის მოსაწყობად ყველა საზოგადოებაში ერთი და იგივეა. მთელი გურია, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ერთ გზას ადგია, ერთის რწმენითაა აღჭურვილი. აქედან თითქო მომდინარეობს ყრილობათა ხასიათის ერთგვარობა. მარა ეს პირველ შეხედვითაა მართლა კი რომ დაუკვირდებით, თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ყოველ საზოგადოებაში ფაქტები სხვადასხვა—ნაირია, ყოველ საზოგადოებას თავისებური ტანჯვა, შეურაცხყოფა და გაჭირვება გამოუვლია, ყოველი საზოგადოება თავისებურებას იჩენს თავის მოთხოვნილებების აუცილებლობის დასაბუთებაში. ამიტომ ჩვენთვის საგულისხმიეროა შეძლებისა გვარად გავიცნოთ ყველა ყრილობა. 1 მარტს მოხდა ერკეთის საზოგადოების ყრილობა. აქ ჩვენ პირველად წავაწყდით მეტად საყურადღებო მოვლენას. ყრილობისაგან არჩეულ ოც დეპუტატთა შორის ექვსი აზნაური იყო, სამი კი სასულიერო წოდების პირი. ორივე წოდების წარმომადგენელნი იმავე გაჭირვებას ჩიოდნენ, იმავე მოთხოვნილებას ადგენდნენ, როგორსაც გლეხები. ჩვენ ლაპარაკის დროს სრულიად არ ვიცოდით, რომ დეპუტატთა შორის არა გლეხიც იყო. აქ არავითარი განსხვავება არა ყოფილა. მხოლოდ შემდეგ, როცა ყრილობა გათავდა, გვითხრეს: აი ამდენი აზნაური და ამდენი სასულიერო წოდების პირი ერია დეპუტატებშიო. და აქ საკვირველი არაფერია. მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. გამოაშკარავდა, რომ გურიის აზნაურობის უმეტესობა ისე მცირე მამულიანია, ისევე გაჭირვებულია, როგორც გლეხი. აქედან თუ მას სურს თავი დააღწიოს ამ გაჭირვებას, თუ მას სურს საზოგადოებაში შესაფერი ადგილი დაიჭიროს, განა გლეხის საზოგადოებას გარეშე სადმე მოქმედება შეუძლიან? ის ეკონომიურად გლეხის თანაბარია, სოციალურადაც მას უნდა მიემხროს. ამნაირად იმ ღრმა სოციალურ მოძრაობას, რომელსაც დღეს გურიაში ვხედავთ, ვერ ასცდება წვრილი აზნაურობა, თუ არა სურს მას თავის ინტერესებს, თავის მომავალს უღალატოს. ერთგვარობა პირობებისა მოითხოვს ერთობას მოქმედებასა და მისწრაფებაში.

თავდაპირველად დეპუტატები გაოცდნენ, არადროს მათ შეძლება არ ქონიათ მთავრობის მოხელეების წინაშე გულახდილად, დაუსჯელად ელაპარაკნათ. მათ მუდამ შიში, დარბევა, დატუსაღება და გადასახლება მოელოდათ თავისი გულახდილობისათვის. დღეს კი იმათ შეძლება მიეცათ ილაპარაკონ დაუფარავად და სინამდვილით, საჯაროდ; საქვეყნოდ გამოაცხადონ, თუ რა აწუხებს მათ და როგორ სურთ მოაწყონ თავიანთი მომავალი.

ხალხმა აწერა თავისი უკიდურესი მდგომარეობა. ბევრი მოვალეობა, დიდი გადასახადი, ხოლო მცირედი შემოსავალი, ისეთი პირობები, სადაც მუშა მუდამ მშიერია, მუდამ გაჭირვებულია, მუდამ წელებზე ფეხს იდგამს, დღე და ღამ არ ისვენებს, და მისი ნაოფლარი კი სხვას მიაქვს. ხალხი მშრომელი, სიმდიდრის შემქმნელი თვითონ არაა პატრონი ამ სიმდიდრისა, ხალხი მშიერია. და „სიმშილისა უარესი ყურთა არა ისმინების", როგორც ერთმა დეპუტატმა შენიშნა. გაჭირვება და შიმშილი კი გამოფხიზლების დედაა. ხალხიც გამოფხიზლდა, მან შეიგნო თავისი გაჭირვების მიზეზი, მას სურს გააუმჯობესოს თავისი ცხოვრება, ადამიანობა. მაგრამ ამ სურვილი განსახორციელებლად კი ის თავისუფალი არ არის გზაზე წინ ეღობებიან, მას პირში ბურთს აჩრიან, გაჩუმდი, ხმა, კრინტი არ დასძრაო. ამნაირად მემამულე, სულიერი მოძღვარი და ადმინისტრაციის მოხელე ხელი-ხელ ჩაკიდებული უპირდაპირდებიან ხალხს, მას მოსთხოვენ დუმილს და ძორჩილებას, როცა ხალხი მშიერია, მოსთხოვენ სიჩუმეს და ღიმილით ზევით ცქერას, როცა ცოლ შვილი შიმშილით ეხოცება. არ დაჩუმებას, თავის მაღლა აწევას, თავის ინტერესების გამოთქმას და მათი დაცვის მისწრაფებას თან მოსდევს დარბევა, შეურაცხყოფა, დაწიოკება. ხალხს ამით სხვის იმედი დაეკარგა, ხალხმა გაარჩია, ვინაა მისი მოყვარე და ვინ არამოყვარე. და ამიტომაც ის საკუთარ გზას დაადგა. ის მოითხოვს, რომ ხალხის საქმეს ხალხი განაგებდეს. ხოლო ეს ნიშნავს დღევანდელის უსწორ-მასწორობის ძირიანად შეცვლას. მიწის კანონიერად განაწილება ეს კი ნიშნავს, მიწა იმას ეკუთვნოდეს, ვინც მუშაობს. გადასახადის სამართლიანად განაწილება. ეს კი ნიშნავს ყველა არაპირდაპირ გადასახადების მოსპობას და პროგრესიულ შემოსავლის კვალობაზე დაწესებულ გადასახადს. იმან გადაიხადოს, ვისაც საარსებო საშუალებაც მეტი აქვს, ვისაც 500 მანეთზე ზევით შემოსავალი აქვს. ჩამოშორება ეკკლესიისა სახელმწიფოსაგან და ამით სწავლა-აღზრდის საქმისაგანაც. საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლა ორივე სქესისთვის 16 წლამდე, ესე იგი პირველ დაწყებითი სწავლა.

ახლა ვსთქვათ რამე ენის შესახებ. ვინ არ იცის, რამდენს ყვირის ჩვენი ეგრედ წოდებული ინტელიგენცია სამშობლო ენის საჭიროების შესახებ. ისიც გეცოდინებათ, რომ «ინტელიგენცია» ხალხს ცილს წამებს, მისი ინტერესების დამცველად ტყუილს უგონებს—ხალხი თავისი წარმომადგენლების პირით სამშობლო ენის საჭიროებას უარყოფსო. რასაკვირველია, ეს ნამდვილი ჭორია. დასამტკიცებლად დაესწარით ერთ ყრილობას მაინც. თქვენ წინაა ალგზნებული მოლაპარაკე, რომლის გატაცებული სახე თქვენ გხიბლავთ, გაელვარებული თვალები გიჩვენებენ, რომ მისი ნალაპარაკევი გულის სიღრმიდან მომდინარეობს. მერე რა ენაზე ლაპარაკობს ის? რასაკვირველია, თავის სამშობლო ენაზე. ხალხის ერთობას, საერთო მოთხოვნილებათა შემუშავებას, თან მოყოლია ხალხის ენის გამახვილება, განვითარება. თქვენ აქ ხედავთ ნამდვილ, შეუფერხებელ თავისუფალ საზოგადოებრივ მსჯელობას. გამახსენდა ჩვენი „ინტელიგენტების" კრება, გამახსენდა ის გაჭირვება, ენის ბორძიკი, შეჩერება, გაუგებრად აზრის გადმოცემა, რომელსაც ხედავთ ასეთ კრებაზე. და მაშინ ვთქვი, თუ თქვენ ყვირით სამშობლო ენის შესახებ, ეს თქვენ თავს უყვირით, სამშობლო ენის აბუჩად აგდება თქვენი საქმეა. ხოლო ხალხი თუ არ ყვირის, იმიტომ რომ ენის შესახები კითხვა მისთვის ცხადია. დემოკრატია არას დროს არ მოისურვებს თავისი ახალთაობა დაჩაგროს და გონებრივად დაამახინჯოს, ხოლო სამშობლო ენის უარყოფა დამახინჯებაა, დაჩაგვრაა. აი თქვენ წინ დგას გლეხი, რომელიც აღზრდის შესახებ მსჯელობს. მისი ნახევრად სევდიანი ირონიული თვალები გეუბნებიან, რომ სკოლაში მას არ უგემია ცოდნის სიტკბოება. პირიქით მას აქ ბევრი დამცირება და შეურაცხყოფა გამოუვლია. მეო, მოგვითხრობს ის, როცა პირველად სკოლაში შევედი, რასაკვირველია, რუსულის არაფერი გამეგებოდა. მასწავლებელმა წამოიძახა სიტყვა: „საბაკა", ჩვენ ვერაფერი გავიგეთ, მაშინ ის მოყვა ყვირილს: „საბაკა—ამუ, ამუ, ამუ, ამუ". რა საჭირო იყო ეს „ამუ-ამუ" დღესაც ვერ გამიგია. ამიტომ, დასძინა ცნობიერმა გლეხმა, დაწყებითი სკოლაში სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდესო. და მისი თანახმა იყო მთელი ყრილობაც. არც უფიქრია ხალხს არას დროს თავისი-თავის უარყოფა. ხოლო იმას კარგად ესმის, რა გზით შეუძლია თავისი ადამიანობის დაცვა, ადამიანობის განვითარება. ის ცდილობს სათავეში შეცვალოს მისი ადამიანობის უარ-მყოფი გარემოება. და მერე თავისთვის განახორციელებს ყველა დანარჩენ მოთხოვნილებათ. ამისათვის კი საჭიროა ხალხის საკრებულო, არჩეული თაასწორი, ფარული კენჭის ყრით. ამ საერთო საკრებულოს დაფუძნებას თან მოსდევს ფართო ადგილობრივი თვით-მართველობაც. ამ ნაირად ხალხი მოქმედებს საერთო მშრომელთა პრინციპების გასახორციელებლად, ის სპობს უთანასწორობას, როგორც პიროვნულს, ისე ეროვნულს, ის ახორციელებს ძმობას და თანასწორობას.

დადგა ყანებში გასვლის დრო, დღეს თუ ხვალ ხვნა-თესვას უნდა შეუდგნენ გურიაში. თუ გლეხებმა მემამულეებისგან არ აიღეს მიწა, შეუძლებელია მათ სარჩო მოიწიონო. ცხადია. რომ ძველ პირობებში გლეხები არაფერ შემთხვევაში არ იმუშავებენ. რა პირობებია, რომელიც გლეხების აზრით მათთვის ხელსაყრელია სადღეისოთ? მიწა სხვადასხვა ხარისხისაა. არის მიწა, რომელიც იმდენად ცოტა მოსავალს იძლევა, რომ სამუშაოთ არა ღირს; არის მიწა, რომელიც დიდ მოსავალს იძლევა. ამიტომაც ღალა შევარდებულ უნდა იყვეს მოსავალთან. სადღეისოდ ასეთ პირობებს ადგა ხალხი: თუ ქცევაზე ოცდა ათ ფუთზე ნაკლები მოდის, მაშინ ღალა მანეთი ან ორი ფუთი სიმინდი, თუ ოცდა-ათი ფუთი—მაშინ ღალა 4 ფუთი ან 2 მანათი, თუ 40 ფუთი მოდის, მაშინ—ექვსი ფუთი, ან 3 მან. და ასე პროპორციონალურად ღალა მატულობს მოსავლის მიხედვით. ეს პირობებია მემამულესთან შესათანხმებლად. მარა აქ მეორე მხარეცაა. როგორ ნაწილდება მუშა-ხალხში საყანე მიწა? ერთი უფრო შეძლებული მეტ მიწას ჩაიგდებს ხელში, მეორე ღატაკი ცალიერი რჩება, ან უვარგის მიწას იღებს და ზარალში შედის. მაშ ამ საქმესაც სამართლიან წესზე მოწყობა უნდა. გლეხობაც თავისი ამორჩეულების შემწეობით იკვლევს, უკვირდება, თუ ვის რამდენი მიწა ესაჭიროება, ვის რამდენის დამუშავება შეუძლია. და ამის კვალობაზე დაანაწილებს მიწებს. ესეთი გზა შეძლებას აძლევს მას თანასწორად გაანაწილოს, როგორც კარგი მიწები, ისე ცუდიც. აღარ მოხდება, რომ ერთს სულ კარგი მიწა ერგოს, მეორეს უვარგისი, ან სულ ცალიერი დარჩეს. აქ ყველა თანასწორად კმაყოფილდება.

მოვიყვანოთ ერთი ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს,—სადაც ერთობაა, იქ დაჩაგვრა არ არის, იქ ერთმანეთის შველა და დახმარებაა. ხალხი ცდილობს ჭირიც და ლხინიც თანაბარ განაწილდეს, ერთის გაჭირვება ყველამ გაინაწილოს და ამით გაჭირვებულს გაჭირვება შეუმსუბუქდეს. საჯავახოდან ოზურგეთამდე გაყვანილია შარა გზა, რომელიც კეთდება საერობო ფულით. წინად გზის კეთებას მთავრობა იჯარით გასცემდა ხოლმე. მერე მოიჯარადრისაგან სოფელი იღებდა სამუშაოდ. მაგრამ მოიჯარადრე ისეთ ხრიკებს ხმარობდა, ისე ყალბობდა, რომ ხალხს ურჩევნოდა სულ არ ემუშავნა. სხვათაშორის, მას ორი რგოლი ჰქონდა—ერთი დიდი, მეორე პატარა. მოტანილი და დამტვრეული ქვა უნდა ყოფილიყო იმ ხელა, რომ გატეულიყო დიდში, პატარაში კი არა, ასეთი შემავიწროებელი პირობების გამო სოფელმა მუშაობაზე ხელი აიღო. მაშინ ეს საქმე დარჩა ინჟენერს სმეტის ფასებში. ხიდები *) იჯარით გასცა, ქვის მოტანა და მოკენჭვა თვითონ აიღო. ინჟენერმაც მოინდომა იაფად გაეცა საქმე. მოტანილ და დამტვრეულ ქვის თითო საჟენში დანიშნა 10 მანეთიდან 15 მანეთამდე. ამ ფარგალში ზოგ ადგილას მეტი ღირდა ქვა, ზოგს ნაკლები იმის მიხედვით, თუ რამდენად დაშორებული იყო ეს ქვის ადგილი ქვის ასაკრებ ადგილიდან. ჯერ სოფელმა დაიწყო მუშაობა, მარა მალე დარწმუნდა, რომ ასეთ პირობებში მუშაობისაგან ზარალის მეტს ვერაფერს ნახავდა. მაშინ ინჟენერმა აწია ფასი ხალხის მოთხოვნის თანახმად, ოთხკუთხ საჟენ დამტვრეულ ქვაზე დააწესა ოციდან ოცდასამ მანეთამდე. სოფელი ხელ-ახლა შეუდგა მუშაობას. მარა რომ ერთს ბევრი არ ხვედროდა და მეორე სულ ცალიერი არ დარჩენილიყო, ამიტომ მოილაპარაკეს ერთმანეთში და სამუშაო გაანაწილეს ყოველ კომლზე, არ გამოუტოვებიათ არც ქვრივი, არც ობოლი და დავრდომილი, შეუდგნენ ქვის მოზიდვას და დამტვრევას. მუშებმა კიდეც აასრულეს თავისი ნაწილი სამუშაო. მარა ხომ დარჩა ქვრივებისა და ობლების ნაწილი? ვინ მოიტანდა ქვას იმათ წილად, ვინ გააკეთებდა მათ სამუშაოს? და აი როცა მუშებმა თავიანთი ნაწილი სამუშაო შეასრულეს, მაშინ საერთოდ მიჰყვეს ხელი ნაწილს, ვისაც მუშაობა არ შეეძლო, მუშებმა გააკეთეს ობლების და ქვრივების ნაწილი. ამათ იმათაც გაუნაწილეს ლუკმა-პური. დღეს საქმე დასრულებულია და ფულიც დაურიგდებათ. განა საოცარი არაა ამ საერთო წუხვა-გლეჯის დროს, ასეთ დროს, როცა ნათქვამია, ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო, ასეთი დახმარება შეუძლოთ წევრებისათვის??!

პ. სურგულაძე.

*) საჭიროა შევნიშნოთ, რომ ხიდების მოიჯარადრედ სულ ერთი და იგივე პირია და, როგორც გვარწმუნებენ, ის ხიდი, რომლის გაკეთება ოც თუმნად ღირს, ოთხმოც თუმნათ კეთდება. გზაზე ყოველ ექვს ვერსზე დაყენებულია ყარაული. მისი მოვალეობაა თვალ-ყური ადევნოს გზას, ასუფთაოს, თუ ზვავი ჩამოწვა, გაწმინდოს გზა. ხშირ ზამთარში გზაზე ზვავი ჩამოწვება. ერთ ყარაულს არ შეუძლია გზა გასწმინდოს, მას კი არ აქვს უფლება მუშა იქირაოს ინჟინერის ნება დაურთველად. ინჟენერი ცხოვრობს ბათომში. მხოლოდ ხანდისხან, როცა ქეიფი მოუვა, ეტლით ამოისეირნებს. თუ ამ დროს ყარაულს ღმერთი გაუწყრა და ადგილს არ დახვდა, მაშინვე დაითხოვს.

და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ იმის გამარჯვების დღეც დადგა და დღეს თუ ხვალ ლიაოიანის აღებას აპირობდა? ეს ჯარი შერცხვა, საშინლად დამარცხდა, თითქმის მთლად განადგურდა (რ. ს.).

„ფრანკ. ცეიტუნგ-“ი სწერს: თუ იაპონელების ოფიციალური ცნობა მუკდენის ბრძოლის შესახებ ნამდვილად გამართლდა, უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ გენ. კუროპატკინმა თავის ჯარის ნახევარი დაჰკარგა. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ რუსები ისეთნაირად დამარცხდნენ, რომ ამ დამარცხების შედეგის გამოკვლევა ეხლა შეუძლებელია. რუსების დამარცხების რაოდენობა იქიდან გამოჩნდება, თუ რუსებმა მოახერხეს და ტელინი შეინარჩუნეს (როგორც ვიცით, რუსებმა ვერც ტელინი შეინარჩუნეს). ეხლა საქმე იმაში კი არ არის, რომ რუსებმა მუკდენი, პორტ-არტური და ლიაოიანი დაიბრუნონ, არა, ეხლა რუსეთი მხოლოდ იმას უნდა ეცადოს, რომ როგორმე, შემთხვევით მაინც გაიმარჯვოს და თავის მხედრობას წინანდელი სახელი აღუდგინოს (რ. ს.).

„ბერლ. ლოკალ ანც-“ი სწერს: მუკდენის ბრძოლა სედანსა ჰგავდა, მაგრამ სედანი არ იყო. რუსეთის ჯარის დასატყვევებლად იაპონელებს რუსებზე ორჯერ მეტი ჯარი უნდა ჰყოლოდათ, ნამდვილად კი იაპონელებს 75000 კაცით ნაკლები ჰყავდათ რუსებზე (ნ.).

იაპონიის ჯარის ინსტრუქტორად ნამყოფი გენერალი მეკკელი „ფიგარო დელი ნიუს“-ში სწერს: რუსები ამტკიცებენ, მუკდენის მინებებას წინადვე ვაპირებდითო, მაგრამ რაღა საჭირო იყო 150,000 კაცის მსხვერპლი? მანჯურიის დედა-ქალაქის, ჩინელთა სალმრთო ქალაქ მუკდენის აღებით იაპონელებმა ძალიან გაიმარჯვეს, მაგრამ ვთქვათ, ესეც არ არის გამარჯვება. ეხლა ვკითხოთ რუს პატრიოტებს: რისაგან მოხდა, რომ ხუთის თვის გამაგრებული, უძლიერესი პოზიციები, აუარებელი სურსათი, სამხედრო მასალა, ზარბაზნები და თოფ-იარაღი რუსებმა მარშალს ოიამას დაუტოვეს, იმ ოიამას, რომელსაც 75,000 კაცით ნაკლები ჯარი ჰყავდა რუსებზე? ეს რა არის, ვეკითხები რუსებს, ესეც მათი გამარჯვებაა? არა, ეს საშინელი, სამარცხვინო და უმაგალითო დამარცხებაა რუსებისა. ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ იაპონელ სალდათის შედარებაც კი არ შეიძლება რუს სალდათთან.

**მუკდენის ბრძოლა და გენ. გრიპენბერგი.** მარშალ ოიამას ბრძანება მუკდენთან ბრძოლის დაწყების შესახებ ბევრს მოულოდნელ ლოდად დაატყდა თავზე. „ნ. ფრ. პრ.“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: მუკდენის ბრძოლაში რუსების დამარცხებას გენ. გრიპენბერგის ისტორიამ შეუწყო ხელიო. გამარჯვების ერთი უმთავრესი პირობა ის არის, რომ დანამდვილებით იცოდე, სად რამდენი ჯარი უყენია შენს მოწინააღმდეგეს. გენ. გრიპენბერგმა რომ წინ გაილაშქრა, იაპონელებმა კარგად გაიგეს იმის ჯარის რაოდენობა, მაგრამ მაინც ეჭვობდნენ, იქნება გრიპენბერგს ზურგთ კიდევ ბლომად ჯარი ჰყავს, მაგრამ ბრძოლაში არ ურევს და გვიმალავსო. გრიპენბერგი დამარცხდა, უკან დაიწია, კუროპატკინს წაეჩხუბა, თავის ლაშქარს თავი მიანება და რუსეთში გამოიქცა. რუსეთში კორესპონდენტები დაუხვდნენ და გამოელაპარაკნენ. გრიპენბერგმა გულახდილად სთქვა, მე მხოლოდ 100,000 კაცი მყავდაო, გენ. კუროპატკინს დახმარება ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრაო და სხვ.; ერთის სიტყვით, გრიპენბერგმა კორესპონდენტებს ისიც კი დაუსახელა, რომელი და რომელი ბრიგადა და პოლკია ლაშქარშიო. ეს ამბავი, რასაკვირველია, მეორე დღესვე მთელს ქვეყანას მოედო. ამგვარად გრიპენბერგმა უნებურად ერთი უდიდესი სამხედრო საიდუმლოება გასცა. მარშალმა ოიამამ ტოკიოდან დაუყოვნებლივ გაიგო რუსეთის ჯარის სარდლის ნალაპარაკევი, გაიგო ის, რაც იმის მზვერავებმა და ჯაშუშებმა ვერ გაიგეს. გაიგო და სწორედ ერთის კვირის შემდეგ ბრძანება გასცა, რუსებს მიესიეთო. იაპონელებიც მიესივნენ. დანარჩენი ყველამ ვიცით (რ. ვ.).

**რუსეთის ახალი სესხი.** ამ დღეებში რუსეთსა და საფრანგეთის ბანკების მოლაპარაკება ჰქონდათ. რუსეთი თხოულობდა, 1300 მილიონი ფრანკი მასესხეთო. მაგრამ ბანკირებმა უპასუხეს, თუ გინდათ 600 მილიონს გასესხებთ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ომის გათავებამდე მეტი სესხი აღარა გვთხოვოთო. ამბობენ, რუსეთი თანახმა არისო (რ. ვ.).

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი**, 6 მარტი. ქუთაისის საზოგადოება მეტად გაოცა იმ გარემოებამ, რომ ტფილისის ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა ასე ცალმხრივად დაასახელა კანდიდატები იმ დეპუტაციაში, რომელიც მთელი კავკასიის საქმეზე უნდა გაემგზავროს პეტერბურგში. ასეთი საქციელი არ ეთანხმება იმ ძმობასა და ერთობას, რომელიც კავკასიის ერებმა ამ ცოტა ხანში შეჰფიცეს ერთმანეთს.

## ახალი ამბავი

✦ **თელავის მაზრაში გლეხთა შორის შესამჩნევი მოძრაობა დაწყებულა.** მოძრაობა მიმართულია უმთავრესად მდიდარ მემამულეთა წინააღმდეგ. თელავის მაზრის უფროსმა გლეხთა დასამშვიდებლად ტფილისიდან ჯარი მოითხოვა. ჩვენ დანამდვილებით გვითხრეს, რომ ჯარი თელავის მაზრაში არ გაიგზავნებაო.

✦ ამ სამი დღის წინად შორაპნის სადგურის ახლო მოხდა **უსიამოვნება სტრაჟნიკსა და მცხოვრებთა შორის;** მოთმინებიდან გამოსული მცხოვრებლები, შეიარაღებულნი თოფებითა, ხანჯლითა და კეტებით, შემოერტყნენ სტრაჟნიკების სადგურს და მოუთმენლად ელოდნენ გამოსულიყვნენ გარეთ. შიშისაგან ჩაიკეტეს კარი და ფანჯარა. გლეხკაცობამ მოთმინება დაჰკარგა, იქვე სახლის ახლოს ვეებერთელა თივის ძირს ცეცხლი წაუკიდა და თანაც თივა გარს შემოაყარა სტრაჟნიკების სადგომს; სტრაჟნიკები რაკი ნახეს, რომ საქმე ცუდად არისო, შეიარაღებულნი გამოცვივდნენ კარში, უგზო-უკვლოდ გაიქცნენ. ამ დროს ხალხის მხრივაც იგრიალეს თოფებმა და ორი სტრაჟნიკი იქვე დეეცა; დანარჩენმა ოთხმა კი თავს უშველა.

✦ ოთხშაბათს, 16 ამ თვეს, ტფილისის გამგეობის სადგომში **დანიშნულია ქალაქის მეეტლეთა მამასახლისის არჩევანები.**

✦ როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვაუწყებდით, **ექსარხოსის განკარგულებით შესდგა კომისია**, სასულიერო სემინარიის რექტორის თავმჯდომარეობით, სამღვდელო პირთაგან, რომელსაც მიენდო გამოეკვლია, რა მიზეზებმა გამოიწვიეს ეპარქიალურ სასწავლებელის მოსწავლე ქალთა შორის უსიამოვნობა; ამჟამად კომისიას უკვე დაუსრულებია საქმის გამოძიება და დაუდგენია—სთხოვონ საქართველოს ექსარხოსს **დათხოვნილ იქმნას ხსენებულ სასწავლებლის უფროსი**—ნაჩალნიცა ამ თანამდებობიდან, რადგანაც გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მას განხეთქილება შეჰქონდა რუსებსა და ქართველ მოსწავლეთა შორის.

✦ ამავე კომისიას დაუდგენია, ეთხოვოს ექსარხოსს, **რომ ის ოცდა ხუთი მოწაფე ქალი, რომელიც შემჩნეული იყო არეულობის დროს** და გარდაწყვეტილიც იყო მათი გასვლა სასწავლებლიდან, **დატოვებულ იქმას სასწავლებელშივე,** ხოლო დამნაშავე მოწაფეთ ზოგს დროებით შეუმცირდეს სტიპენდია, ზოგსაც დაუკლონ ყოფა-ქცევის ნიშანი. რადგანაც ეპარქიალურ სასწაელებელში უსიამოვნობისა გამო მოწაფე ქალთა შორის ბევრმა დედ-მამამ წაიყვანა სოფლად თვისი შვილი, ამიტომ ექსარხოსის მიერ დანიშნულ კომისიას დაუვალებია ხსენებულ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოსთვის, **მისწერონ სოფლად მოწაფეთა დედმამას,** ჩამოიყვანონ ამ მოკლე ხანში თავიანთი შვილები **სწავლის გასაგრძობად.**

✦ როგორც მკითხველს მოეხსენება, საქართველოს **ექსარხოსმა ტფილისის სამღვდელოებას ნება არ დართო** მოეხდინათ მალე საქართველოს სამღვდელოებათა საერთო კრება. ახლა ტფილისის სამღვდელოებას გადუწყვეტია გაუგზავნოს მის მიერ შემუშავებული პროგრამა საქართველოს საექზარხოსოს ყველა საბლაღოჩინოებს და სთხოვოს, წარმოსთქვან მათ ამ კითხვაზე თავისი აზრი. დასაბუთებულ გარდაწყვეტილებას მიართმევენ ექსარხოსს და იშუამდგომლებენ, რომ მოწვეულ იქმნენ ტფილისში სრულიად საქართველოს სამღვდელოებათა დეპუტატები ურთი-ერთ შორის მოსალაპარაკებლად.

✦ ტფილისის უფროსმა ექიმმა ბ. **სტეფანოვმა აუწყა ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის გამგეს**, მომავალი აღდგომისათვის ბევრ მოავაჭრეს გამოაქვს ბაზარში საღებავები, რომელსაც ქალაქის მცხოვრებლები სიიაფისა გამო ძალიან ეტანებიან და ყიდულობენ კვერცხისა და პასკების შესაღებავათ. რადგანაც ბევრჯელ ყოფილა შემთხვევა და უვარგისი საღებავით ბევრი მოწამლულა, ამიტომ მოახდინეთ განკარგულება, რომ ის საღებავები, რომელიც წარმოდგენილი იქნება ლაბორატორიაში, დაუყოვნებლივ გამოიკვლიონ და კოლოფს ან ქაღალდის პარკს, რაშიაც გახვეულია საღებავი, დაასვან ლაბორატორიის ბეჭედიო.

✦ კვირას, 6 ამ თვეს, მოხდა **კრება ტფილისის სამხედრო და საერო ბეითლებისა;** ბეთალთა კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ტფილისში რუსეთის საბეითალო საზოგადოების განყოფილება; კრებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო შეადგინოს განყოფილების წესდება, აღნიშნოს ის გარემოებებიც, რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს განყოფილებამ რუსეთის საბეითალო საზოგადოებასთან; კომისიის წევრებათ არჩეულ იქმნენ ზოლოტარიოვი, სენიავსკი, ტიმოფეევი კანცელმახერი, ლისიცინი და სტრაშკევიჩი; საზოგადოების განყოფილება მოქმედებას დაიწყებს მომავალ ნოემბერში.

✦ **ქალაქის გამგეობამ დაადგინა**, რომ ქუჩების მოკირწყვლის იჯარები მიეცეს მსხვილ მოიჯარადრეებს და იჯარა უნდა იყოს არა ნაკლებ 6,000 მანეთისა. წვრილი მოიჯარადრეები პირობებს ვერ ასრულებენ თავის დროზე ფულისა და იარაღის უქონლობისა გამო.

✦ ამას წინად **სურამის ბოქაულად ნამყოფი ტანნენბერგი** დუშეთის მაზრის ბოქაულად იქმნა დანიშნული. ეს განკარგულება გაუქმებულ იქმნა და **ტანნენბერგი პრიუტის** (ტფილისის მაზრა) **ბოქაულად** იქმნა დანიშნული.

✦ როგორც გადმოგვცეს, ახლად გარდაცვალებულ **ეპისკოპოზ ბენიამინის ადგილზე** უნდა გაამწესონ სასულიერო სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი ნიკანდრი.

✦ ქუთაისის დრამატიული დასი, ბ-ნ მესხიშვილის მონაწილეობითა და ბ-ნ შიხინოვის ინიციატივით, **გამართავს ქ. გორში 10 და 11 მარტს ორს წარმოდგენას.**

✦ ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მტკვრის პირას გამართოს საზაფხულო საბანაო, რისთვისაც გადადებული აქვს 5 ათასი მანათი, ამჟამად ინჟინერ კირაკოზოვს შეუდგენია ერთნაირი საბანაო პროექტი, რომლის აშენებაც დაუჯდება ქალაქს არა უმეტეს 500 მანეთისა. კირაკოზოვმა ეს პროექტი ქალაქის გამგეობას განსახილველად უნდა წარუდგინოს.

✦ აგერ რა ერთი ხანია, ვიღაც ბ. გერსამია ქალაქის ხმოსნებსა სწერს თურმე წერილებს და სთხოვს ფულით შემწეობა აღმოუჩინონ. ვისთანაც მიდის, ეუბნება, წინად ქართული თეატრის მსახიობი ვიყავი და ეხლა ავადმყოფობისა-გამო ვეღარა საქმეს ვერ დავსდგომივარო; ბევრი ეუბნება, ყმაწვილი კაცი ხართ და ეგრე წყალობის თხოვნას არ სჯობია რამე საქმეს დაადგეთო; მაგრამ ბ. გერსამია კი საქმის შოვნას არა ცდილობს. დანამდვილებით შევიტყეთ, რომ გერსამიას რამდენჯერმე მიუმართნია ქალაქის მოურავისთვისაც და შემწეობა ფულით უთხოვნია. მოურავიც აძლევს ფულს; გერსამია ამას აღარა სჯერდება და ჩასციებია. ხმოსნებთანაც როგორმე საქმე გაურიგოს.

## ქუთაისის ცხოვრება.

წყალსაყვანის საქმის კაბინეტური ბოლო.

როგორც იქნა ბოლო მიეცა შავ დღეზე დაბადებულს ქუთაისის წყლასაყვანის საქმეს. ქუთათურებისათვის სიხარულით დაწყებულ ერთადერთ საერთო სასარგებლო საქმეს მკვიდრისათვის წმინდა წყლის მიწოდებას—დღეს, მათდა უნებურად, სამწუხარო ბოლო მიეცა და ამით, ვინ უწყის, რავდენი ხნით დაბრკოლდა მისი პრაქტიკულად განხორციელება. ჩვენ, დღეს-დღეობით, არ გამოვუდგებით იმის გამოკვლევას, თუ ვინაა ამ საქმის უკან დამხევი, უსირცხვილო შემფერხებელი. საამისოდ „მოგზაურიდან“ შეგვპირდნენ საქმის გამოაშკარავებას და მას მივმართოთ. მხოლოდ მე აქ სიტყვა-სიტყვით მოვიყვან იმ საბჭოს დღევანდელ (2 მარტი) დადგენილებას, რომელიც დედინაცვლის როლს ასრულებდა.

აი როგორ მოკლედ მოუთხრო ქალაქის მოურავმა ხმოსნებს ხსენებულ წყალსაყვანის საქმის გძელი ისტორია. როგორც იცითო,—სთქვა მან, 22 ივლისს 1901 წ. ქალაქის გამგეობამ შეუკრა პირობა წყალის მილის გამყვან ამხანაგობის გამგეობას. ამ ხელშეკრულობის მე-2 §-ის ძალით, ამხანაგობის გამგეობა ვალდებული იყო პროექტის დამტკიცების შემდეგ ორი წლის განმავლობაში დაესრულებინა იმაში ნაჩვენები სამუშევრები და მოქმედებაც დაეწყო. გამგეობის საქმეებიდან ჩანს, რომ 26 ივნისს 1902 წ. მან ამხანაგობის გამგეობის საბჭოს გაუგზავნა 24 ივნისის დადგენილება პლანები დამტკიცებულ პროექტებთან ერთად. აქვე იგი სთხოვდა ამხანაგობას, ეს საქმე მალე შეესრულებინა. 26 ივნისს იგი ჩაუბარებია ამხ. კანტორის გამგე ი. ჩიმაკიძეს, ხოლო 26 ივლისს 1902 წ. ამხ. გამგეობა ფორმალურად ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ მან საბჭოს დამტკიცებული წყალსაყვანის მოწყობილების პროექტები მიიღო და შეასრულებს კიდეცაო.

არა სასურველ მითქმა-მოთქმის ასაცილებლადაო, ამბობს ქალაქის მოურავი,—ახლა კი ფთხილად დაწერილ მოხსენებაში, ორი წლის ვადის დასაწყისად ჩავთვალეთ არა პროექტის ჩაბარების დღე 26 ივნისი 1902 წ., არამედ 26 ივლისი, 1902 წ., როცა ქაღალდების ჩაბარებაზე ამხანაგობისათვის ქალაქის გამგეობამ ფორმალური განცხადება მიიღო, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ორი წლის ვადა ხელშეკრულობის, მე-12 §-ის ძალით, გასულია 26 ივლისს, 1904 წ.

ხელშეკრულობის 4, 42 და 43 §§-ის ძალით, თუ ყოვლად საპატიო მიზეზების უჩვენებლად ამხანაგობა ამ ვადაზე ვერ გააკეთებს წყალისაყვანო კონტრაგენტ ვალდებულია ქალაქის სასარგებლოდ გადიხადოს 500 მან. ჯარიმა თითოეულ გადაცილებულ თვეში; ამასთან ყოველი 6 თვის გადაცილებას მოყვება ხელშეკრულობის გაუქმება. მაგრამ, რადგან პირობის ძალით უპრავა ვალდებული იყო ჯარიმის დადგენამდე ამხანაგობისათვის მოეთხოვნა ხელშეკრულობის მიზეზი, ამისათვის მან 27 ივლისს 1904 წ. წერილობით მოსთხოვა ამ მიზეზების ჩვენება იმათაც 3 აგვისტოს 1904 წ. თარიღით უპასუხეს, რომ ხელშეკრულობის ვადის გასვლას ჯერ კიდევ დიდი ხანი უკლიაო, რადგან სადავო საკითხი მარტო მე 112 მუხლის ძალით როდი უნდა გადაგეწყვიტათ, არამედ სხვებიც დაგეხმარებიათო, თუმცა ამ „სხვებზე“ ის არ გვითითებს და სახელდობ იგი არ საზღვრავს, რომელი დროიდან იწყება ან თავდება ეს ვადა, ან კიდევ რამდენი წელი უნდა უცადოს ამხანაგობის გამგეობას.

ეს ფორმალური, ჩინოვნიკური ახსნაც გამგეობას უსაფუძვლოდ უცვნია და 22 ივლისს და 29 ენკენ. 1904 წ. დაუდგენია და დაუჯარიმებია ამხანაგობა ორ წელიწადს სამუშევრის შეუსრულებლობისათვის და უცნობებია ეს მათთვის. შემდეგ ამისა ამხ. გამგეობა მაინც ემუდარება საბჭოს და თხოვს ვადის გაგძობას წყალისაყვანის საქმის დასასრულებლად, მაგრამ ახლა კი გონს მოსული საბჭო უარს ეუბნება ამხანაგობას და მით შუამდგომლობას „უპატივდებულოდ ტოვებს“.

ამ წლის 25 თებ., გამგეობის მოთხრობით, გასულა საშეღავათო 6 თვის ვადაც, მაგრამ „როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათო, ნათქვამია მოურავის მოხსენებაში, გამგეობას სრულიად არაფერი გაუკეთებია ამ საქმის განსახორციელებლადაო».

ზევით ნაჩვენებ ხელშეკრულების მუხლებისა და აგრეთვე იმ მოსაზრების ძალით, რომლითაც ამხანაგობას ჯარიმა დაედვა სამუშევრის გაუთავებლობისათვის ორი წლის განმავლობაში პროექტების და პლანების დამტკიცების შემდეგ, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ 22 ივნისის 1901 წ. ამხ. გამგეობასთან ხელშეკრულობა იცნოს დარღვეულად და ამხანაგობისაგან წარმოდგენილი გირაო 20,000 მან. სახელმწიფო რენტის სახით ჩაირიცხოს ქალაქის საკუთრებად.

გათავდა თუ არა ამის კითხვა, მოურავი შეეკითხა ხმოსნებს: აბა ვის რა გაქვთ სათქმელი მოხსენებულის გამოვო. მაგრამ მას ბ-ნი ზდანოვიჩიც (ყოფილი ამხანაგობის წარმომადგენელი) აღარ შეჰკამათებია, ისე ერთხმად მიიღეს ასეთი რეზოლიუცია. მაგრამ ამ ფარატინა ქაღალდით ხომ ამისთანა საჭირო საქმეს არა ეშველება-რა. დღეს ქალაქის თვითმართველობას მართებს დატრიალება და, თუ თითონ ვერ გამონახავს წყაროს უკვე გამოწყობილი საქმის დასასრულებლად. სხვა, უფრო საიმედო კაცები მონახოს. წყალისაყვანის საქმე გამგეობის მიერ ფართოდ გამოწყობილ საქმეებში ყველაზე უსაჭიროესი, უახლოესია და აქეთკენ უნდა მიმართონ ჩვენმა «მამებმა» თავისი ძალ-ღონე, თუ უნდათ ამ განახლების ჟამს მკვიდრისგან თანაგრძნობა-მადლობა დაიმსახურონ...

ის.—არიძე.

## სადღეისო

### ზღვა ღელავს...

ვის არ უნახავს ზღვის ღელვა?

აგერ,—ხედავთ ჯერ უძრავია ზღვის ზედა პირი და მზის სხივებით განათებულს და მღელვარეს ლოდივით აწვება მძიმედ უძრავი ჰაერი...

მაგრამ უძრავად დარჩენა არ შეუძლია ბუნებას და აგერ დაჰბერა კიდეც ნიავმა... სიომააქაფა აქა-იქ წყალი და ზღვამაც თანდათან გამოიღვიძა... ზღვის გულში რაღაცა იდუმალი ძალა მოქმედებს, წყალს აზვირთებს, თითქო ამზადებსო ბრძოლისთვის გახურებულ ჰაერის საწინააღმდეგოდ.

ზღვამაც იცვალა ფერი, შავად შეიღება პირი, აღელვების ნიშნად აქა-იქ ქაფდება წყალი, მაგრამ ეს ქაფი ჯერ-ჯერობით მხოლოდ აქა-იქ ჩნდება უცებ და უცებვე ჰქრება.

საიდუმლო ძალა, ზღვის გულში მიმალული, ებრძვის ჰაერის უმოძრაობას...

უფრო ძლიერად დაჰბერა ქარმა, ზღვამაც ბანი მისცა გაჯავრებით და წყენის ნიშნად ტალღა-ტალღას ჰკრა...

რომელი სჯობნის?

ქარმა დაჰბერა, წინ გაიგდო ზღვის ტალღა და საშინელის სიმძლავრით გადისროლა ნაპირისაკენ... მის ადგილას მხოლოდ ქაფი ღა დარჩა ..

აგერ ტალღაც... ესეც ეცემა ნაპირას და იღუპება... ქარი კი ჰბერავს, უნდა გადისროლოს ნაპირისაკენ ყველა ტალღა და აღელვებულ ზღვაში ჩამოაგდოს ამითი მშვიდობიანობა...

.. მაგრამ ამაოდ!

ერთ ტალღის მაგივრად ახალი ჩნდება, ზღვა არა სცხრება, ტალღას-ტალღაზე ისვრის, ზვირთდება, იბრძვის და თანდათან მძლავრდება ფურთქნა ..

საშინელი და... წარმტაცი სანახავია... ხედავს ადამიანი ბუნების ძალას, თვალს ვერ აშორებს ამაყად ამართულს მრისხანე ტალღებს, უნდა შეუერთდეს მის მღელვარებას, უნდა შეუერთდეს ბუნებას...

ზღვის ტალღა, როგორც ცოცხალი არსება, ღრიალებს, იბრძვის და უნდა მოსპოს სამუდამოდ ქარის საზარელი ზუზუნი...

ქარიც მრისხანებს, გაცოფებული ეცემა ტალღებს, ღმუის, ტრიალებს...

ბრძოლაა მათში!

ზღვის ტალღები მწყობრად [illegible] ერთმანეთს,—ერთ სულად, ერთ [illegible],
ამ აღელვების დროს ერთმანეთთან შეკავშირებული, ვერ შორდებიან ერთმანეთს.

ტალღების ერთობა ძალას ჰქმნის და ამ ძალას ვერაფერს აკლებს ქარის ზუზუნი.—

ვის შეუძლია, ეს ტალღები დააშოროს ერთმანეთს,—ყველა გამსჭვალულია იმავე აზრით, ყველა გამოწვეულია იმავე მიზეზით და იქ, სადაც ნაპირზე გადმოგდებული იღუპება ერთი მათგანი, მაშინვე ჩნდება მეორე, მესამე, ერთი მეორეზე უფრო მძლავრი, ერთი მეორეზე უფრო მრისხანე და უძლეველი..—

ზღვა ჰღელავს!.. ქარი ზუზუნებს...

რას შეუძლია ზღვის დამშვიდება? —ქარის მოსპობას და მხოლოდ ამას!

მანამ ქარი ჰქრის, არ დასცხრება ზღვის აღელვება, იმატებს კიდეც და შეუძლებელიც შეიქმნება ზღვაში გემების მიმოსვლა.

ადამიანი ვერ გაჰბედავს კერძო საქმეზე აღელვებულ ზღვაში სიარულს და შესწყდება დროებით მისი საქმიანობა, შესწყდება ვაჭრობა, მანამ ზღვა და ქარი ებრძვიან ერთმანეთს...

ვინ იქნება, რომ საერთო ღელვის დროს ერთ ტალღას მიჰმართოს და უბრძანოს,—აქვე გაჩერდი, ნუ აჰყვები ზღვის აღელვებას, მოშორდი შენ მოძმე—ტალღებს და იყავი შენთვის ერთ ადგილას დამშვიდებული...

როგორ შეუძლია გაჩერება ერთ ტალღას, როდესაც მთელი ზღვა ღელავს?...

მაგრამ აგერ თავდება ბრძოლა, ქარმა ისუსტა, ზღვაზედაც ისუსტა ტალღამ,—აგერ თანდათან გაჩერდა ქარი, მოისპო, სადღაც გაჰქრა და მასთან ერთად ზღვაც დამშვიდდა...

მედიდურად ირწევა კიდევ და ისვენებს... ტალღა არსად სჩანს, და სიწყნარეა.

ქართან ბრძოლამ, ტალღების ცემამ ვერ შეასუსტა ზღვა, რომელიც ისევ სავსეა, ისევ მძლავრი და უძლეველი...

წყნარი და მშვიდი შეიქმნა ზღვის ზედა პირი...

და ისევე უწინდებურად გაჩაღდა ზღვაზე მიმოსვლა, ადამიანმა იმედიანად მოჰკიდა ხელი საქმეს, დაიწყო ჩვეულებრივი საქმიანობა, რომელიც ღელვის დროს არ შეუძლია არავის...

—

ზღვა არის ადამიანის ცხოვრება, ზღვა ხან მშვიდი, ხან კიდევ აღელვებული...

აღელვების დროს იცვლება ცხოვრების ზედა პირი და ტალღა ეტაკება ტალღას, ქარს ებრძვის, იბრძვის არსებობისათვის.

როგორც ზღვაში არ შეიძლება ტალღა ტალღას ჩამოვაშოროთ, და ერთ ადგილას გავაჩეროთ იგი, როდესაც ფურთქნაა ზღვაში, ისევე არ შეუძლია არავის, დაამშვიდოს საზოგადოების ერთ-ერთი ნაწილი მაშინ, როდესაც მთელი ხალხია აღელვებული და ცდილობს უკეთესად მოაწყოს თავისი ცხოვრება.

არ შეიძლება აღელვებულ ხალხის დამშვიდება, თუ არ მოისპო აღელვების მიზეზი, ისევე, როგორც ფურთქნის დროს არ შეიძლება ზღვის დამშვიდება, სანამ მოისპობა კიდევ ქარის ზუზუნი...

ძალით ხალხის გაჩერება არ შეიძლება, ბრძანება არა სჭრის,—ქარის ზუზუნი, მისი ძალა ღელვას უმატებს და ზღვაც ყოველთვის უფრო მაღალ ტალღასაც ისვრის, სადაც ქარი ჰქრის და ზღვასთან ბრძოლასაც იწყებს.

ძალა არა სჭრის, საჭიროა ქარის მოსპობა, ქარის მიზეზით ღელვაა ზღვაში...

არ შეიძლება ხალხში ვიხმაროთ დასამშვიდებლად ბრძანება, ძალა!

ნ. ნ.

## ბ-ნ სულთან კრიმ-გირეის გურიაში მოგზაურობის გამო.

აგერ რამოდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც გურიაში პირველად დაიწყო ის მოძრაობა, რომელმაც მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მაშინვე ჩვენში.

ბევრისათვის ამ მოძრაობის ნამდვილი ხასიათი იმ თავითვე გაუგებარი შეიქმნა, ვინაიდან ჟურნალ-გაზეთობას სხვადასხვა, მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, არ შეეძლო ამ ამბების შესახებ ხმის ამოღება და ამითი სარგებლობდნენ ისინი, ვისთვისაც იყო საჭირო გურულების შესახებ ათასნაირ ჭორის გავრცელება მთავრობასთან და საზოგადოებაში.

უკმაყოფილების დასამშვიდებლად იყო საჭირო მისი მიზეზის გაგება, და ადგილობრივი ადმინისტრაცია ვალდებული იყო ამ გზას დასდგომოდა მაშინ, როდესაც საქმე ჯერ იმდენად არ იყო გამწვავებული.

ამის მაგივრად უნდოდათ მიემართათ ძალისთვის, მოითხოვეს ჯარები და ზარბაზნები.

საბედნიეროდ, სისხლის ღვრა ასცდა გურულებს. კავკასიის მთავარ-მართებლის მოადგილემ გენერალმა მალამამ საქმის გამოსაკვლევად ადგილობრივ გაჰგზავნა თავისი მოხელე, კავკასიაში ცნობილი ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი, რომელსაც დაევალა გამოეკითხა თვით გურულებისთვის მათი ამბავი, შეეტყო მათი საჭიროება, ელაპარაკა მათთან გულახდილად, ადგილობრივ ადმინისტრაციის დაუსწრებლადაც.

ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომელიც წარსდგა კავკასიის მთავრობამ თვით ხალხისაგან მის საჭიროებათა გასაგებად და ჩვენ იმ თავითვე დიდის სიამოვნებით მივეგებეთ გენერალ მალამას ამნაირ განკარგულებას.

გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებით მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა ჰქონიათ სასაჩივრო გურულებს, იციან, რომ იმათ უკმაყოფილების მიზეზი იყო, სხვათა შორის, ადგილობრივი ადმინისტრაციაც, რომ მათ მოძრაობას სრულებით არ ჰქონია ის ხასიათი, რომელსაც ძალად ახვევდნენ თავზე ადგილობრივი მოხელეები იმისთვის, რომ არ გამომჟღავნებულიყო მათივე უვარგისობა.

როგორც უწინ სცდილობდნენ გურულების სახელის გატეხას, ისევე, საფიქრებელია, ეცდებიან ეხლაც გაუტეხონ სახელი ბ-ნ კრიმ-გირეის, რომლის ჩასვლა გურიაში და იქ ხალხთან ლაპარაკი, მათთვის ვერაფერი სასიამოვნო და საშიშროა.

ყველა თავის დაფარვას სცდილობს და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, თუ გურიის ადგილობრივი ადმინისტრაციაც ამას ეცდება.

მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა ვისურვოთ, რომ მისმა მეცადინეობამ აქ ვეღარ გასჭრას, რომ მთავარ-მართებლის მოადგილეს გენერალ მალამასაგან გაგზავნილ პირს გურიის ადმინისტრაციამ ვერაფერი დააკლოს და სიმართლის გამოკვლევაში ხელი ვერ შეუშალოს.

## პრესსა

რუსეთში და კერძოდ „ნოვოე ვრემია-“ს კარგი წარმოდგენა ჰქონიათ კავკასიაზე.

„ტფილისში ბავშვებმა სცემეს საღვთო რჯულის მასწავლებელ მღვდელს,—ამბობს გაზეთი. სცემდნენ და ეუბნებოდნენ, „მოგვეცი ახალი ღმერთი, აღარ გვწამს შენი ღმერთი“.

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სხვა ყოველგვარ ჭორსაც ასეთივე სიადვილით ავრცელებს ჩვენზე იგივე გაზეთი. ან ვიფიქროთ, რომ მართლა სჯერა გაზეთს ასეთი ამბავი კავკასიაში, თუ ვიფიქროთ, რომ განზრახ შეუთხზავს ჭორი იმისთვის, რომ გაუტეხოს სახელი ქართველებს, უყურეთ ბავშვებიც ცემა-ტყეპაში არიანო და რაღა საკვირველია, რომ დიდები თავს არ იშურებენ და ყველას ჰკლავენო.

რუსეთში ყველას აფიქრებს ეხლანდელი მდგომარეობა. რა ვქნათ რომელ გზას დავადგეთ, ფიქრობს. მაგრამ რატომ პასუხი არ არის.

გაზ. „პეტერბურგის უწყება„ სწერს: დრო არის დავანებოთ თავი პატრიოტობას და თავის მოტყუილებას,—საჭიროა, ეხლავე დავადგეთ შესაფერ მიმართულებას ეხლა, როდესაც რუსეთი დამცირებულია, როდესაც რუსეთი ჯვარს აცვეს მტრებმა, როდესაც ყოველგან გაისმის ხალხის კვნესა და ტირილი, საჭიროა ეკითხოს რუსეთში ყოველ ეროვნებას: რა გზით შეიძლება ამ უბედურობის მოსპობა? მთავრობისათვის ეხლა დაყოვნება არ ვარგა, საჭიროა ეხლავე ხალხის სურვილების გაგება. მოედნებზე იქნება, ეკლესიებთან, ყოველგან უნდა გამოსთქვას ხალხმა თავისი ნატვრა,—დღემდის ლაპარაკობდა ჟურნალ-გაზეთობა, ჩურჩულობდა აქა-იქ ინტელიგენცია, ეხლა საჭიროა ვსცადოთ, რას ჰფიქრობს ხალხი? რას ჰფიქრობს ხალხი, რომელსაც აწვება მთელი ხარჯი, რომელიც დედაბოძია სახელმწიფოში“.

საჭიროა და მეტიც. მაგრამ საქმეც ის არის რომ ამ აზრის გაგება არ შეიძლება, თუ არ იქმნა გამოცხადებული კრებების და ლაპარაკის თავისუფლება, პიროვნების ხელუხლებლობა და არ იქმნა გამოცხადებული ადამიანის თავისუფლება, და ეს-კი გაზეთს, როგორც ეტყობა, არ უნდა, —სთქვი თავისუფლად ის, რასაც გიბრძანებენო. ეგეც კარგია!

# რუსეთი

**ფინლიანდიელების პეტიციიდან:** ჟანდარმების ჩაგონებისა და ხრიკებისა წყალობით ჯაშუშობამ ჩვენ ქვეყანაში არა ჩვეულებრივი სახე მიიღო. ბევრმა ანგარებით გატაცებულმა და სუსტმა წევრმა ჩვენის საზოგადოებისამ ზნეობრივ პრინციპებს უღალატა და ქვენა გრძნობებით შეპყრობილმა ჯაშუშობას მიჰყო ხელი. აი აქ არის დამალული გამხრწნელი ის გავლენა საიდუმლო დასმენისა, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვენ ქვეყანას სენივით მოედო. აწინდელი მდგომარეობა იმითია უფრო რთული და სახიფათო, რომ ჯაშუშობას არ სჯერდებიან და ხალხს უსინდისოდ აბრიყვებენ და ბოროტების ქსელში აბამენ. ჯაშუშობით გამოწვეულმა სადგომისა და ბინის თავისუფლების დაუსჯელმა შელახვამ, იმ გარემოებამ, რომ რუსის მოქალაქე მოკლებულია ღონისძიებას მიმართოს მოითხოვოს სამართალი და თავი გაიმართლოს, — ხალხს სიმშვიდე დაუკარგოს მთავრობის ნდობა წაართვა ძ შეაძულა ისინი, ვინც ამისთანა ხრიკებით სარგებლობს. მარტო კერძო ადამიანი არ იტანჯება; ამავე მდგომარეობაშია სამსახურში მყოფიც და მთელი დაწესებულებებიც. უსასოებამ, შიშმა და უკანონობამ მოიცვა ჩვენი ქვეყანა და ამის მიზეზი თვითონ მთავრობაა, რომელიც თვითონ არღვევს კანონს უსამართლოდ სტანჯავს იმას, ვინც უკანონო განკარგულებას არ ემორჩილება. თუ თვითონ, მთავრობა არ სცემს პატივს კანონს, ვერც ერს მოვთხოვთ იწამოს იგი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მხოლოდ კანონიერების აღდგენით შეიძლება ჩვენ ქვეყანაში მშვიდობიანობა და წეს-რიგი დამყარდეს, ბრძანებითა და ძალმომრეობით მთავრობა ვერას გახდება (პრავო).

**დივნის მაზრიდან იწერებიან:** აქაურმა გლეხებმა რომელნიც სამუშაოს უქონლობამ **სიღატაკისა** და **შიმშილის** კარებამდის მიიყვანა, რამდენიმე სახლ-კარი და მამული **აიკლეს და გაანადგურეს.** „საერთოდ გლეხები ამ ბოლოს დროს ძალიან შეიცვალნენ: ენა ამოიდგეს, თამამად აცხადებენ თავის აზრებს და სურვილებს, ინტელიგენციას თანდათან უფრო მეტის ნდობით ეკიდებიან, ამბობს — კორესპონდენტი (რ. ვ.)

# კორესპონდენცია

**ფოთი.** 4 მარტს ქალაქის საბჭოში საზოგადო კრება იყო, — კრების მიზანი: განურჩევლად წოდებისა და პარტიების ერთი საერთო პროგრამის შემუშავება, რუსეთის მოსალოდნელ საერო კრებაზე წარსადგენად. ყველა პარტიას უნდა ამოერჩია თავიანთ შორის წარმომადგენელნი და ამ უკანასკნელებს კი საერთოდ, შეთანხმებული აზრით შეედგინათ მოთხოვნილებების პროგრამა. ამ პროგრამას წაიკითხავენ საერთო კრებაზე და შემდეგ მოწოდებისა გაგზავნიდნენ სადაც ჯერ არს, ეს იყო გაგრძელება ამ რამოდენიმე დღის წინად მომხდარ ასეთივე კრებისა.

დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მხოლოდ, თუმცა, როგორც ამბობდნენ, პირველ კრებას უფრო მეტი დასწრებია.

კრება გაიხსნა შვიდ საათზე. კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ბ-ნი ნიკოლაძე, რომელმაც კრებას შემდეგის სიტყვით მიმართა. „— წინანდელ კრებაზე ჩვენ გადავსწყვიტეთ, ამოვირჩიოთ ჩვენ შორის წარმომადგენელნი, რომლებსაც მიენდობა საერთოდ შეთანხმებული პროგრამის შედგენა და საერთო კრებისადმი წარდგენა უკეთუ უკვე ამორჩეული გყავთ წარმომადგენელნი, დაასახელეთ, ან თუ ვისმე კიდევ გაქვთ რამე სათქმელი, შეგიძლიათ ილაპარაკოთ, მხოლოდ ამ განსაზღვრულ მიზნის შესახებო". კარგა ხანს სიჩუმე გამეფდა. ამასობაში ელექტრონის ფარნებიც აანთეს. თავმჯდომარემ, რა ნახა რომ ხმას არავინ იღებს, ხელ ახლა დაეკითხა შეკრებილებას, — არაფერი გაქვთ სათქმელიო!.. ხალხისშორის ერთმა თქვა: — ჩვენ გავიგეთ, რომ იმ რუს ყაზახებს, რომელიც აქ წესიერების დასაცველად გამოგვიგზავნეს, აგერ ეს კაცი, გაბუნია, გაუძარცვავთ და ჩვენ ვთხოულობთ, ასეთი წესიერების დამცველნი თავიდან მოგვაშორონ, თორემ ჩვენც იძულებული გავხდებით შევებრძოლოთო... თავმჯდომარემ უპასუხა, — ეს ამ ჟამად შესაძლებლად არ მიგვაჩნია და დღეს ჩვენ სულ სხვა საგანზე ვართ შეკრებილნიო. ხვალ ქუთაისში მივდივარ და მუშების ამ ამბავს გუბერნატორს ვეტყვიო. ამ საგანმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია. შემდეგ სხვადასხვა დაკითხვისა, თავმჯდომარემ თქვა, ქუთაისის გუბერნიის ნახევარი სამხედრო მართვა-გამგეობის წესს დაუქვემდებარეს. მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ ფოთს ჯერ არ სწვევია ასეთი უბედურება და იმდენი უნდა ვეცადოთ — არ გვეწვიოსო. ვიღამაც წამოიძახა, — ერთ ან ორ წელში მოსალოდნელია მთელი რუსეთის იმპერიაში ასეთი სამართალი დამყარდესო და სხვა... თავმჯდომარემ კიდევ აუხსნა ხალხს დალაგებით, მიზანი დღევანდელი შეკრებისა არის წარმომადგენლების ამორჩევა და ესენი შეადგენენ საზოგადო გეგმასო...

— ვინ არის თავმდები იმისი, რომ ჩვენი ამორჩეული დეპუტატები უზრუნველყოფილი იქნებიან პიროვნების ხელ-უხლებლობით, ან თქვენ თუ ხართ თავმდები იმისი, რომ ჩვენს წამოყენებულ მოთხოვნილებებს შეგვისრულებენო. თავმჯდომარემ უპასუხა, თავმდებობა ამ უკანასკნელისა არ შემიძლია, რაც შეეხება პირველს, ამაზე გაძლევთ სიტყვას, რომ ისინი იქნებიან მოწვეულნი აქ, აი ამ სტოლთან და არავინ ხელს არ ახლებსო.

მაგრამ ხალხის წარმომადგენლების ამორჩევაზე მაინც არ დასთანხმდნენ «ჩვენს მოთხოვნილებას აქვე საჯაროდ გამოვსთქვამთო», კრებამ სწორედ ის მოთხოვნილებანი დაასახელა, რაც გურულებმა კრიმ-გირეის წარუდგინეს. სხვათა შორის საჭიროდ დაინახეს ქართულ ენის ხელ-უხლებლობა, როგორც სკოლებში, ისე სასამართლოებში. ამ უკანასკნელ სიტყვებზე ვიღაცამ უკმაყოფილება გამოაცხადა. საკმარისი იყო ერთი მისი დაყვირება „დალოი"!.. რომ ხალხი აირია მიაწვენ ერთი მეორეს და კინაღამ წაჯექნეს ერთმანეთი, მხოლოდ ჩქარა ისევ დაშოშმინდნენ. ახლა შედგა თავმჯდომარე სკამზე და უთხრა შეკრებილებას:

თქვენი პროგრამა იგივეა რაც წინა კრებაზე მე წაგიკითხეთ, მხოლოდ ორი მუხლის გარდა, ერთი — მუდმივი ჯარის მოსპობა და მეორე პროგრესიული გადასახადის შემოღება. — ორივე ეს საკითხი ახლა პროგრამაში არ შეიტანება, ეს დიდ მნიშვნელოვანი საგნებია და იგი უნდა გადასწყვიტოს საერო კრებამო... — რადგან ასეა, ჩვენ ამ ორ საგანს ვერ გამოვსტოვებთო, — იყვირეს ხალხის მოთავეებმა, — მაშ თქვენ ტყუილა-უბრალოდ გველაპარაკებთო.

ბევრი არწმუნა თავმჯდომარემ, ბევრი ელაპარაკა, აერჩიათ წარმომადგენელნი, მაგრამ ამაოდ...

ბოლოს ერთმა მათგანმა დაიძახა, ვინც ჩვენი ხართ, გავიდეთ გარეთაო...

აქ კი კრება დაიშალა და ყველანი თავთავიანთთვის წავიდნენ.

საგანი თითქმის გამოირკვა, ინტელიგენციისა და ხალხს შორის იდეაში თითქმის არავითარი განსხვავება არ იყო, მაგრამ საერთო შეთანხმება და წარმომადგენლების არჩევა მაინც არ მოხერხდა.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, — მითხრა გზაში ერთმა იქ დამსწრეთაგანმა, — ხალხს დიდი ხანია ყოველიფერზე გული გატეხილი აქვს, ყოველივე ასეთი კრებები, ბაასი და ბჭობა ტყუილუბრალო დროს დაკარგვად მიაჩნია! რა ქნეს ასი წლის განმავლობაში? განა ცოტა თხოვნები გაგზავნეს, განა ცოტა იტირეს იშრომეს, — ვინ დაინახა?!...

რია.

—

**ტყიბული.** როგორც ოფიციალურადაც იყო გამოცხადებული, იანვრის 26-ს ტყიბულის ქვა-ნახშირის მუშებმა 600 კაცი ერთბაშად მუშაობა შესწყვიტეს. შეიკრიბნენ თავიანთ ბინებზე ადგილობრივ ინჟინერ ალიბეგოვის მოსვლას ელოდებოდნენ. (ინჟინერი ამ დროს ქუთაისში იყოფებოდა) და როდესაც ეს გაიგო ადგილობრივმა, ბოქაულმა იმწამსვე გაეშურა საერობო დარაჯებით და შეკითხა მუშებს რამ გამოიწვია მათი გაფიცვა ან ვინ იყო მათი ჩამგონებელი? მაგრამ მუშებმა ერთხმად უპასუხეს ბოქაულს, ჩვენ არავის არ ჩავუგონებივართ. ნუ თუ ჩვენისთანა გაჭირვებულ ცხოვრებაში მყოფს ჩაგონება სჭირდება, ქირად გვიძლევა უმეტესობას კიდევ დღეში ცხრა შაური, ან თვეში 14 მანეთი. ამ მცირედი ფასით როგორ უნდა ვიცხოვროთ, [illegible] მარტო პური გვჭირია ერთი აბა[illegible]. ჩვენ ვთხოულობთ ჯამაგირების მომატებას. ამასთანავე აუხსნეს ბოქაულს, რა შეუბრალებლად ეპყრობიან მუშებს ზოგიერთი იქ მსახურები. ბოქაულმა მუშების ყოველივე მოთხოვნილება სამართლიანად დაინახა და აღუთქვა მუშებს, უკეთუ თქვენ არავითარ უწესობას არ მოახდენთ, მე ვეცდები ინჟინერებთან ვიშუამდგომლო. და ვსთხოვ თქვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნესო. ორ დღის შემდეგ ქ. ქუთაისიდან მოვიდა ინ. ალიბეგოვიც. პირველ ყოვლისა მუშებს მადლობა გამოუცხადა რომ არავითარი უწესობა არ მოუხდენიათ. შემდეგ გამოჰკითხა მიზეზები მათი გაფიცვისა და ან ვინ ჩააგონა მუშებს — მუშაობა შეწყვიტეთო. მაგრამ მუშებმა ბოქაულთან ნათქვამი სიტყვები განიმეორეს და ერთხმად შესძახეს, — საჭირო აღარ არის ჩაგონება. ჩვენ თვითონ შიმშილს ძალიან კარგად ვგრძნობთო. შემდეგ ბევრი თათბირის ინჟინერმა სთხოვა მუშებს, ამოერჩიათ სამი კაცი და იმის პირით წარმოედგინათ თავისი მოთხოვნილებანი. მუშებმა 7 კაცი აარჩიეს და ინჟენერთან გაგზავნეს. დეპუტაციამ მოითხოვა: 1) ჯამაგირების მომატება — დღიური ქირა მანათზე ნაკლები არ უნდა იყოს. 2) სამი მოსამსახურის დათხოვნა, მათის უსამართლობა უსინიდისობის გულისათვის; — 3) ხარაზი კაკული აკოფოვის ტყიბულიდან გაძევება რომელიც მათ შეკერილ წუღებს აძლევდა. ეს კაკულა ინჟინერთა ნებართვით მუშებს წუღას უკერავს და მერე ჯამაგირიდან ურიცხავს. აკოფოვი ბოროტად სარგებლობს თავის ნებით და რაც ქვეყანაზე დამპალი საქონელია მუშებზე ასაღებს. გულდასმით მოისმინა რა ბატონმა ალიბეგოვმა მუშების მოთხოვნანი, დაკმაყოფილება აღუთქვა. ჯამაგირებიც 20 — 30 კაპ. მოუმატა.

მუშაობა დაიწყო.

ილია ფოფხაძე.

—

**ქ. დუშეთი.** დუშეთის არისტოკრატია-ინტელიგენციას ორიოდე კაკარდოსანი და მიკიტან-მეფაიტონეები შეადგენენ. ამათ ხელშია ყველაფერი, ავიცა და კარგიც. მიკიტნებს ფული და წითელი ღვინო აქვთ, კაკარდოსნებს სამართალი უჭირავთ ხელში და ამიტომ არის, რომ დუშეთისთანა ყოვლის მხრით დაქვეითებული ქალაქი მთელს კავკასიაში არ მოიძებნება.

საქართველოს სამხედრო გზიდან რომ შეხედო, გიამებათ, იტყვით დუშეთი ქალაქი თუ არა, პატარა სოფელი მაინც, არის კოხტა და ლამაზიო, მაგრამ შიგ რომ შებრძანდებით, პირს კატა გეცემათ. ბოსელი, საბძელი, სანეხვე, სამიკიტნო, მეპურე და ყასაბი [illegible] ეზო-ქუჩებით, ერთმანეთში არის არეული და ისეთი შმორის სუნი დგას, რომ ხოლერას ბევრი ბარტყის გამოჩეკვა არ დასჭირდება.

ასეთ უმწეო ყოფაშია ჩვენი კურთხეული ქალაქი და, რაიმე ავადმყოფობა რომ გაჩნდეს, ექიმსაც ვერ იშოვით: ერთი მაზრის ექიმია და რას გაუხდება მთელს მაზრას, მეორე — სამხედრო ექიმი-კი უცნაური კაცია. თუ სამსა და ოთხ თუმანს მისცემ, მაშინ ნება აქვს სხვაგან წასვლისა — თუ არა და, — არა! მერე სად იშოვნოს ბეჩავმა გლეხმა იმდენი ფული, რომ ექიმს პირისანახავში ოთხი და ხუთი თუმანი აძლიოს!.. თუ მოგხედა ღმერთმა, ახლოს ხარ და ექიმს „რეცებ" დააწერინე ახლა მეაფთიაქე გაგიჭირებს საქმეს. ჯერ რუსული უნდა იცოდე კარგად, რომ რამე გააგებინო და მერე, თუ მოგცეს წამალი ტყავს გაგაძრობენ და ძველის-ძველ შეზავებულ წამალს მოგაჩრიან ხელში.

ჩვენი მეაფთიაქე კანონის უბრალო მოთხოვნილებასაც არ ასრულებს, რომელიც ავალებს, რომ წამალზე ადგილობრივ, ქართულ ენაზე იყოს ხოლმე აღნიშნული, დღეში რამდენჯერ რამდენი წამალი უნდა მიიღოს ავადმყოფმა. უამისოდ ხომ წამალი წამლობას ვერ გასწევს. საჭიროა მეაფთიაქეს დაევალოს, რომ ქართულადაც უეჭველად დააწეროს დრო და რაოდენობა წამლის მიღებისა... ვისი საქმეც ეს არის, რატომ არ უგდებს ყურს?

ამას კიდევ თქვენი ჭირი-ც წაუღია, რომ მეაფთიაქესაგან აბუჩად აგდებული კართ აქაურები და ჩვენი არა ესმისრა და ჩვენ კიდევ მისი. მაგრამ ჩვენი პედაგოგები — ხშირად უცხო ტომისანი — რაღა სატინად გვიგდებენ? 24 თებერვალს აქაურ საქალებო სკოლის მოწაფეები რაღაც ფუცა-ფუცში იყვნენ: ზოგს ქაღა და ერბო მიჰქონდა, ხელსახოცში გახვეული, ზოგს ყველი, და სკოლაში მიარბენიებდნენ: რასაკვირველია, ახლანდელ დროში უფულოთაც არ იქნებოდა რა და თვითეულს ხუთ-ხუთი შაურიც გამოაღებინეს და ადგილობრივმა მასწავლებელმა ქალმა და მასწავლებელმა კაცმა აძით თავის მეგობრები დაპატიჟეს და ბავშვების ნაწვავ-ნადაგვით ვახშამი გაუმართეს. ამ ვახშამზე, სალდათების დოტბარობით, რამდენიმე კაზარმული სიმღერა ამღერეს: მერე მოსწავლე ქალებს ერთმა პედაგოგმა ბუნდოვანი სურათები გაუგებარ ენაზე ვითომ აუხსნა, კიდევ სალდათური ამღერეს და შინ ცალიერ-ტარიელი გაისტუმრეს. ჩვენ გვაკვირვებს სკოლის გამგის საქციელი! წინად რამდენჯერ უთხოვიათ თვითონ მასწავლებელ ქალებს, სალიტერატურო საღამოს გამართვის ნება მოგვეცითო და არ მიუცია, ახლა-კი სალდათებს ნებას აძლევს ქალების სკოლაში „ტრიპაკის" თამაშობისას!? სწორედ რომ საკარიკატურო სურათი და ამბავია...

ახალმა ამბებმა აქეთაც გავლენა იქონია. დღე მუდამ ერთი სჯა-ბაასი იმართება ახლანდელი ომისა და ნამეტნავად იმერეთის ამბების შესახებ.

უკმაყოფილება გლეხთა და მემამულეთა შორის ხანგამოშვებით აქაც იჩენს ხოლმე თავს. თებერვალში სოფელ ბულაჩაურელებს ხუთმეტი შეშით დადებული ურემი მოჰქონდათ; როცა გამოიარეს ადგილობრივ მემამულის ხიმშიაშვილის მარნის კარებზე, რომელსაც ვერ ადებოდნენ, თ. ნ. ხიმშიაშვილი წინ გადაუდგა და ურმების წართმევა უნდოდა. მოხდა შეტაკება თავადსა და გლეხებს შორის და ერთმანეთს სცემეს. ერთმა გლეხთაგანმა ხანჯალიც კი მოუქნია თურმე ხიმშიაშვილს, მაგრამ ააცდინა. ამის გამო ადგილობრივი პოლიციაშეიძრა და რამდენიმე კაცი დაპატიმრა.

მუხრანის საუფლისწულო მამულის გამგეობას და მახლობელ სოფლებს ხომ ძალიან ხშირად აქვთ ერთმანეთში დავიდარაბა, და კვირა არ გავა, შეტაკება არ მოუხდეთ...

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

7 მარტი

**ტოკიო**, 6 მარტი. სინმინტინის დაჭერის დროს რუსებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. აქა ჰფიქრობენ, რუსები კაიუნში შეჩერდებიანო. გაზეთები ამტკიცებენ, ლინევიჩი ჩანჩუნამდე ანუ განჯულინამდე დაიხევსო. — კორეის იმპერატორი პრინც იჯაიკოკას გზავნის, რომ იაპონიის სამეფო ტახტს მანჯურიაში გამარჯვება მიულოცოს.

**ლონდონი**. გაიაში კვალად ებაასება პრესსის წარმომადგენელთ და იმეორებს, იაპონია ზავზე არც კი ფიქრობს, ვიდრე თვით რუსეთი უშუამდგომლოდ არ განუცხადებს თავის სურვილსო. თუმცა სარდლების აზრი არ ვიცი, მაგრამ ისეთს არაფერს ვხედავ, რომ იაპონიის ჯარი შეაჩეროს და რუსეთის ჯარს აღარ სდიოს ჩრდილოეთისკენო. იაპონელებს მუკდენი თავის მოქმედების ბაზად ექმნებათ, რადგან იქიდან ხარბინამდე ერთი მესამედია იმ მანძილისა, რაც ხარბინიდან ირკუტსკამდე, რომელიც რუსებისთვის უახლოვესი ბაზა არისო. თუ რომ რუსეთს მთელი წელიწადი მუკდენში ჰყავდა თავისი უდიდესი ლაშქარი, იაპონიისთვის უფრო ადვილია ასეთივე ლაშქარი ხარბინში იყოლიოსო.

**ბერლინი**. როგორც ამბობენ, მალე დაბოლოვდება მოლაპარაკება იაპონიის სესხის გამო. სესხი 5 სარგებლიანი იქნება. ამბობენ, იაპონელები წინადაც ცდილობდნენ ბერლინში გაენაღდებინათ სესხი, მაგრამ მაშინ გერმანიის მთავრობა ამის წინააღმდეგი იყო, ეხლა კი აღარ აბრკოლებსო.

**ტოკიო**, 6 მარტი. იაპონელები კაიუანსაც ემუქრებიან, რომელსაც ამ დღეებში დაიჭირენ. აქ ჩამოსული იაპონელი აფიცერი ამბობს, ამ დღეებში კუროპატკინი დაიჭრაო. იმას იმედი ჰქონდა, რომ ტელინს ერთის წლის განმავლობაში დაიცავდა. — „ასაჰის" კორესპონდენტი ირწმუნება, რუსებმა ეხლა იანშულინში მოიყარეს თავიო, ტელინიდან ასის მილის სიშორით. ტუსანძის სამხრეთად რუსის ჯარი აღარ არის.

**ტოკიო**. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რუსები კაიუანისკენ მიდიანო. — 5 მარტს უკანდახევა ეტყობოდათ. იაპონიის მოწინავე რაზმმა ფაკუმენი დაიჭირაო, 62 მილის მანძილზე მუკდენის ჩრდილო-დასავლეთად. ხუნხუზე ყინული დაიძრა

**შანჰაი**. მუკდენის ომში, როგორც ანგარიშობენ, იაპონელებს 52,000 კაცი დაუკარგავთ, მათ რიცხვში 1000 აფიცერი. — 5 მარტს იაპონელები ლიაოხეზე გადავიდნენ და მაღლობები დაიჭირეს, საიდანაც უკუმიმავალ რუსებს ყუმბარები დაუშინეს.

**სინმინტინი**. ყველა უცხოელებმა მუკდენი მიატოვეს. ბევრს მათგანს სინმინტინში მოაქვს სავაჭრო საქონელი. მოკლულების დამარხვა ჯერაც არ გათავებულა. გუშინდელ საქედ სინმინტინში იაპონელების ჯარისა და ხუნხუზების რიცხვი შემცირდა.

**ტოკიო**, 5 მარტი. მცოდნე სამხედრო კაცები ერთხმად ამბობენ, რუსების განდევნა მანჯურიიდან გათავებული საქმეაო. ტელინის მიტოვება თითქმის უბრძოლოდ აქ მოულოდნელ სიურპრიზად მიაჩნიათ, რადგან ბუნებრივად და ხელოვნურად გამაგრებული ადგილია და შიგ ტელინში მრავალი სურსათი და სამხედრო საწყობები იყო. ტელინს იქით ისეთი პოზიცია აღარ არის, რომ იაპონელების შეჩერება შეძლოს. იმისი ეჭვიც კი აქვთ, შესძლებენ რუსები წინააღმდეგობას ხარბინთან თუ ვერა. — კურეში გაჩქარებით აგებენ ახალს 10,000-ტონხიან კრეისერს, რომელიც სექტემბერში შეიარაღდება. იმავე მოყვანილობის მეორე კრეისერის აგებასაც შეუდგნენ. — სინძინტინისკენ მთა-მთა მიმავალი რუსები დიდს გაჭირებაში არიან. იაპონელები მალე აიღებენ იანიენსა და გირინს. — იაპონელები 300 ტონნის სურსათს დაისაკუთრებენ სინმინტინში. — რუსების ჯარში, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა იაპონელებს 2 მარტს ტელინის სამხრეთით, სამი დივიზია ყოფილა. ირწმუნებიან, თვით კუროპატკინი სარდლობდაო. კავალერიის სარდალმა ლავამურამ ამ ბრძოლაში თავი ისახელა. რუსეთის ჯარი, რომელიც სანეიტრალო ადგილს იყო ლიაოხეს ახლო, ტელინის ჩრდილოეთად' იაპონელებმა განდევნეს 5 მარტს. მუკდენის რკინის გზაზე მიმოსვლა მალე დაიწყობა.

**პეტერბურგი**, 7 მარტი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ. ლინევიჩის: «6 მარ. საღამოს 9 საათი. მეორე ლაშქრის უფროსის მოხსენებით ჩვენი ჯარი მტერს არ შესტაკებია. პირველ და მესამე ლაშქრებიდან დღეს მოხსენება არ მიმიღია. დავათვალიერე რუსეთიდან ჩამოსული ჯარის ნაწილები, რომელნიც საუცხოვოდ წარმომიდგნენ. ჯა[illegible]ს კაცებს ემჩნევათ ჯანსაღობა, სიმამაცე და მხნეობა.

**იოკაგამა**, 6 მარტი („დეილი ტელეგრაფი"). ინდო-ჩინეთის ნაპირთან ქარიშხლის დროს დაიღუპა იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი.

**ტოკიო**, 6 მარტი. იაპონელებმა კაიუანისკენ წაიწიეს, რომელიც რუსებმა 5 მარტს დასცალეს. რუსებმა წასვლის წინად რკინის გზის სადგური გადასწვეს.

**ტოკიო**, 6 მარტი. („დეილი-ტელეგრაფი"), იაპონიაში მცხოვრებმა უცხოელებმა ხელი მოაწერეს იაპონიის ახალ შინაგან სესხს 50 მილიონ იენს, რამაც გამოცხადებულ თანხას ხუთჯერ გადააჭარბა.

**ვენა**, 6 მარტი. (კორ. ბიურო). შეაძლის უგანიმპერატორი ბუდაპეშტს გაემგზავრა.

**ნეჟინი**, 6 მარტი. არა ჩვეულებრივი საერობო კრება შუამდგომლობს, რათა ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლა ერობას გადაეცეს. ჯარში გაწვეულ ექიმებს ჯამაგირების ნახევარი მიეცემათ. ქალაქი აღელვებულია გაძარცვის მიზნით ებრაელ ოჯახის მხეცურად ამოჟლეტის გამო.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **ალ. ხარაჯიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში — 12 მ., ცალკე ოთახში — 60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გელეიშვილი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

**დიდუბის განყოფილება.** ექ. შჩერბინა.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონ ტიზენჰაუზენის სახლში. [illegible]

**სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. [illegible] ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანია. თვეში 12 [illegible] გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქ 1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible] ქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში — ტფილისისა).

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

### გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

## სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას-ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8


# განცხადებანი

პარასკევს, 11 მარტს, საღამოს 4 საათზე, სათავად-აზნაურო სკოლის ახალ-შენობის კონტორაში

## მოხდება კრება

ვაკეს მემამულეთა პირველ ჯგუფისა. კრებამ უნდა განიხილოს ამ ადგილის გეგმა. ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული კომისია სთხოვს აღნიშნულ მემამულეებს, ზემოხსენებულ კრებას დაესწრნენ. (2—6.—1).

„წერა-კით. საზოგადოების" კანცელარიაში
(სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა)

## იყიდება

რონინაშვილისეულის ფოტოგრაფიის ავეჯეულობა დივანი, სავარძლები, სარკეები, ტრიუმო, კამოდი, სტოლები, სკამები და სხვ.

ნახვა შეიძლება დილის 10—2 ს. და საღამოს 5—8 ს.




მომღონიერებელი სასმელი **ლაშქრისა და ფლოტისათვის,**
აგრეთვე სასარგებლო სახმარი საველე ჰოსპიტლებსა და **წითელის ჯვრის** საავადმყოფოებში,
როგორც ავადმყოფთა გამაჯანმრთელებელი სასმელი.
ერთ გირვანქიდგან გამოდის 100 ფინჯანი.
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)

(2—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ, 7 марта 1905 г.

ელექტრონითმბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" ფრეილინის ქ. № 5.